№ II

1891

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჟურნალ «ჯეჯილი»-სა

I.	ერი და მგელი, ლექსი ა. ჯაჯანისა	3
II.	ყმაწვილობის მოგონება. ბეტ. უმიკაშვილისა	5
III	ადრეული ყვავილი, ლექსი ზ. ზ. ...ისა.	18
IV.	რაც ბრალეინაეს—ყველა ოქრო არ არის (ფრანგულ-დგან) ს. თ-სა.	21
V.	შვილის-შვილი და ბებია, ამბავი ლექსად (ბიბაჯ.), მ. ...ელისა	26
VI.	სამი საჩუქარი, (გერმანული ზღაპარი), ეკ. ...-სა	33
VII.	ხალხური ლექსი	41
VIII.	მაგალითი, (ზღაპარი),	47
IX.	პატარა-პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი მ. ...ელ, ...ოსი	48
X.	ამბები ფრინველების ცხოვრებიდამ	54
XI.	წმ. ...ბიბოს ნეკრესელი, შ. გულისაშვილისა	60
XII.	ეზოში, (დასასრული), ერეკლე ...ისა	63
XIII.	...ჯი-ბურადას გაკვეთილი, ს. თ-სა	71
XIV.	ხარმა მწყემსი როგორ გადაარჩინა, მოკლე ...ბავი	73
XV.	რკინის გზის დარაჯი, მოკლე ...ბავი.	—
XVI.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, სახუმარო, ზმა, სამათემატიკო გამოცანა, გამოცანა-ხუმრობა, შარადა და რებუსი-გამოცანა	74
XVII.	„დედამ რომ შვილი გაზარდოს", ლექსი ი. ...ბაქაძისა, ნოტებზე გადაღებული ...ბ...ა.	

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც გზაზეს რაიმე ნაოარგმნს ან გადმოგეთებულს წერილებს „ჯეჯილ"ა" დასაბეჭდად, გვაცნობოს, საიდან არის გადმოღებული ეს წერილი.

საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
ი. ფ.

№ II.

წელიწადი მეორე

ტფილისი
სტამბა ი. ს. მანსვეტოვისა, ლორის-მელიქოვის ქ., სახლი მდივანისა, № 12.
1891.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Февраля 1891 года.

Типографія Я. А. Мансвѣтова, Лорисъ-Меликовская ул., д. Мдивани, № 12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვირი და მგელი

რთველ ვირი საძოვარზე
დაიძარტოხელა მგელმა,
მიეკრა და მისი შეკრა
მოინდომა სამაგელმა.

—

არ ელოდა ეურ-პანტურა,—
შეკრთა... უცბად ელდა ქცა;
გაქცევა რომ დააჭირა,
მუხლებიცკი მოეკვეცა.

—

დაიჩოქა... შეჭეროეინა:
«რომ არ მსოგავ, კი ეხედავო,
მაგრამ მაინც სიკვდილის წინ
ერთს სათხოვარს გიბედავო:

—

«ქაჩაჩში ლეოსმნის ნატეხი
ჩამრჩა და ის მტანჯავს მეო,
და იმის ჯავრს ნუ გამატან,
ამომიღე როგორმეო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მე ანდერძის ასრულება
სიკვდილს გამიადვილებსო...
შენც ლურსმანი აგცილდება,
ადარ გატკენს მაგ კბილებსო!»

—

დაიჯერა მგელმა... ლურსმნის
ამოღებას დაეჩქარა,
მაგრამ ვირმა ტყუპად წიხლი
შიგ კბილებში მიაყარა.

—

ჩაულეწა... ჩაამტვრია,
ერთიც ადარ შეარჩინა!...
დარჩა მგელი რეტ-დასხმული,
მხოლოდ ჰირი დააფჩინა

—

და სთქვა: «რატომ არ ვიცოდი,
ბედი ასე დამსჯიდა?
მამა მეავდა ხარაზი და
ნალბანდობას რა მრჯიდა?!...

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემაწვილობის მოგონება

I

ათხი-ხუთი წლისა ვიქნებოდი, რომ მამა მო-მიკვდა და დავობლდი. დედა ჩემი ოცდა ორის თუ სამის წლისა იყო. შინ მარტო დედა-შვილნი დავრჩით ქვრივ-ობოლნი.

ბებია ჩემი (მამი ჩემის დედა) ორიოდ წლის შემდეგ ჩვენთან ადარ დარჩა და უფროს შვილთან, სხვა ქვეყანაში, წავიდა. ჩვენი მარტო-ყოფნა მეორე ბებიას (დედი ჩემის დედას) საფიქრებელი გაუხდა, რადგანაც დედა ჩემმა არ ისურვა სამშობლოში დედ-მამასთან გადასვლა,—სახლს არ მოეშლიო. ბებია ჩემი სწუხდა, ემაწვილი ქალი მარტო როგორ დავტოვოო. მოიკითხა აქა-იქ და ერთი ხანში შესული დედა-კაცი მონახა.

ეს მოხუცებული შემოგვეკედლა. ისიც ქვრივ-ოხერი მოსარეცხე იყო. ნაცნობ ოჯახებში მუშტარი ჭუჯადა, იდებ-და სარეცხს და ქალაქის დაბანანაში რეცხდა, დღეში თითო აბაზს შოულობდა და თითო ბურს, ხანდახან ბოთლ დვი-ნოსაც.

დამე რომ მუშაობიდამ მოვიდოდა, ვახშამზე მოიტან-და ღვინოსა და ახალ გამომცხვარ თორნის ბურსა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ძალიან მიუვარდა. ფულს ინახავდა და მოტანილ ღვინო-ჰურს ჩვენთან შეექცეოდა.

მუდამ არა ჭქონდა ამისთანა საშოვარი. ღმერთს რაც ჩვენთვის მოეცა, იმით იოლად მივდიოდით. დედა ჩემი ჰატივსა სცემდა, როგორც წლოვანებით უფროსსა და უფავარდა კიდეცა. სუფთა დედა-კაცი იო, თავდაჭერილი, ჰატიოსანი და თავმოყვარე. ეტყობოდა, რომ ოჯახის შვილი იო და კაი ოჯახები ენახა. სიღარიბის გამო მრეცხაობისთვის ხელი მოეკიდა.

ოსძალოების აკაცობას გამოქცეოდა ამრუეიდამ ტფილისში; სიღარიბე და მწუხარება ბევრი გამოეელო, მაგრამ თავისი ჰატიოსნება და სულის სიამაყე მაინც არ დაკარგა. ყველამ იცოდა, რომ უბრალო მოსარეცხეა, მაგრამ სცა-კი ხალხის კრება იქნებოდა, ოჯახის ქალებში ჩაჯდებოდა, ისინიც ჰატივით ეპერობოდნენ. ლაპარაკში ჭკვიანურს სიტყვას იტყოდა და კაი იმისი ბრალი, თუ ამ ჭკვიან სიტყვას დასცინებდა ვინმე. ჭექა-ქუხილსაკით დასჯდებოდა თავსა და უგუნურად მოლაპარაკეს შეარცხვენდა. ამისთანა ხასიათისათვის ყველანი ჰატივსა სცემდნენ და თითქმის ეშინოდათ კიდეც.

ამისთანა მფარველი გვიშოვნა ბებია ჩემმა მე და დედა ჩემს. ვინ იცის, რამდენს უსიამოვნებას და მწუხარებას აკვაცდინა ამ ჰატიოსანმა და ჭკვიანმა ადამიანმა დედა ჩემი, ახალგაზდა ქერიი, და მე, ეძაწვილი ობოლი? ამიტომ ეხლაც სიამოვნებით მაგონდება ბებია ჩემი და ის მოხუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემული მოსარეცხე. რა მადლობელი უნდა ვიყო იმათი! ღმერთმა აცხონოს ორივე!

სადამოობით, შინ რო დაბრუნდებოდა და ვახშმად დაესხდებოდით, რა გინდა, რას არ ილაპარაკებდა ხოლმე? ხან იმ დღის ნახულ ამბავს გვეტყოდა, ხან ძველ ამბებს მოიგონებდა.

სხვათა შორის ასეთი ამბავი მახსოვს:

— ერთი უმაწვილი იყო, ჩვეულება ჭქონდა, ფრინველი რომ დაეჭირა, ენა უნდა ამოგლიჯა. უშალეს და არ დაიშალა. მერე რო დავაკაცდა და დაცოლშვილდა, რაც შვილი მიეცა, სულ უენო და მუნჯები დაებადა. მეხობლები იტყოდნენ,—ფრინველების ცოდვამ უყოვო.

ერთხელ კიდევ მახსოვს ჩვენებურ მეურმე ბლეს-კაცებზე ჯავრობდა ბედა-ბერი:

— არ გაგონილა, კამბეჩს კაცმა სახრით სცემოსო, კამბეჩს სახრე არ დაეკერის. ეს მეურმეები-კი თავ-ზირს ამტვრევენო.

— მაშ წესი როგორ არის-მეთქი?

— სახრით მარტო აჩვენებენ, აქეთ მოიწიო და ბაკერით-კი არ დაჭეკონ; ცემას არ უნდა დაჩვიონ, ცოდვაა.

ბევრს ამისთანებს ილაპარაკებდა ხოლმე. კარგს ამბავს აქებდა, ავს ჭკიცხავდა და ზიზღით მოიგონებდა. მართლა და ისე ილაპარაკებდა, რომ ეურის მგდებელს კარგ შეაყვარებდა და ავს მოაძულებდა.

როგორცა ვთქვი, ბედა ბატივსა სცემდა: ეოველთვის ჩვენთან იჯდა და რაც უნდა სტუმარი გვეოლოდა, ვერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ გამოარჩევდა, რომ ეს მოხუცი ამ ოჯახს არ ეკუთვნი-სო. ესეთი შეთვისება ამ მოხუცისა არ მოსწონდათ ზო-გიერთ ჩვენ ნათესავებსა, მაგრამ დედა ჩემი ამას ყურს არ უგდებდა. მეც დამარიგებდა ხოლმე, არამც და არამც არ გაჯავროთ, ღმერთი გვიწყენსო.

მეცა ვცდილობდი, არ მეწყენინებინა. მიყვარდა იმის ამბების მოსმენა და ყოველთვის გვერდით მოვუჯდებოდი, როცა მოჭყვებოდა ლაპარაკსა. ხანდახან-კი, როდესაც მზე-ში დაჯდებოდა და ღუღუნებდა, ახლოს ვერ მივეკარე-ბოდი.

ჯერ ვერ მივხვდი, რა აღუღუნებს ამ მოხუცსა-მეთქი. მერე და მერე-კი შევატყე, რომ ღუღუნებს-კი არა, თურმე წუწუნებს და უცრემლოთა ტირის. გული გამინაღვლიან-და, შემებრალა და ერთხელა ვკითხე:

— შუშან, რაზედ ტირი, მითხარი-მეთქი?

— აი, შვილო! როგორ არ ვიტირო! ერთი შვილი მყავდა თოთხმეტი წლისა, ქალაქში რომ მოვედი; იმისი იმედი მქონდა, ვაჟი კაცი გამიხდება და შემინახავს-მეთქი. მეთულუხობა დაიწყო, წუალსა ზიდავდა, გაცივდა და მო-მიკვდა. ვაი შენს დედასა!... ქალი მყავს და შორს არის გათხოვილი. მეც მოვხუცდი, სხვის კარათა ვარ. სახლი არა მაქვს და ოჯახი...

ამ ამბავმა ისე დამაღონა, რომ კინაღამ ვიტირე, მაგ-რამ ხმა-კი ვერ ამოვიღე და არ ვიცოდი, რა მეთქვა. მე-რე რადაც სხვა ამბავზე დამიწყო ლაპარაკი, აღარ მახ-სოვს. ეს-კი მითხრა, დედის მორჩილი იყავი, ნუ მიხედავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებსა, ცუდლუტებსა და ანცებსაო. გიყობენ და უფროსებს არ უგონებენ. შენ გიყებს ნუ აჭვებიო.

ამ გვარი დარიგება სხვებისაგანაც მესმოდა და შუანასაგან ჰირველი არ იყო.

II

მაგრამ ისე არა დამხსომებია-რა, როგორც ერთი ამბავი დამახსოვდა.

ერთხელ რაღაზედაც დედა ჩემმა მოიგონა ერთი ამბავი: დიდი ხოლერობა იყო ქალაქში 1830 წელსაო. ტფილისდამ აგიეარენით რამდენიმე ოჯახი, ქართლში წავედით და ერთ ტყეში შევეხიზნენითო. ჩვენში ერთი უმაწვილი იყო ათი-თერთმეტი წლისა. მეტის-მეტად განებიერებული ჭეავდა დედასა. ბილაზე წამოდგებოდა თუ არა, მაშინვე ერბო-კვერცხი უნდა ეჭამა. ტყეში ვიეავით. კვერცხი არ იშოვებოდა; ერბო-კვერცხი ვერ მოუმზადა დედამა. გაჭირვეულდა უმაწვილი, არ იქნება, ერბო-კვერცხი უნდა მომიტანოთო. გადაეკედა დედა, ხან რა საჭმელი მოუტანა, ხან რა, მაგრამ უმაწვილმა ტირილი არ გაათავა. ოთხიხუთი ოჯახის კაცი და ქალი მოიქანცა და ვერ დააჩუმეს. ბოლოს აიხირა უმაწვილმა, თუ არ მომიტანთ, წყალში გადავარდები და თავს დაეიხრჩობო. გაიქცა წყლის ჰირას:

— აი, ჩავეარდები, ჩავეარდებიო, იმახოდა და თან დედისაკენ იხედებოდა.

— ვუი, შენი ჭირიმე! მიშეელეთ! შენ ვენაცვალე, არ ჩავარდე, მოიცა!... ეხვეწებოდა დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ იქნება, არ იქნება, უნდა ჩავვარდეო. მიბრუნდებოდა, იწევდა, ვითომ ეს არის წყალში ვვარდებიო.

ემაწვილის დედას ერთი ამბავი ჰქონდა და ოთვილ იმის გაწევაზე წელისაკენ, წივილ-კივილი გაჰქონდა. მიირბენდა შვილისკენ და მოჭუჟავდა. ახლა კიდევ გაუსხლტებოდა და გარბოდა. ბოლოს ემაწვილი კიდევ გაიქცა, გამოუდგა დედა და სხვებიც. გზაზე გადაუდგა ჩვენთან მეოფი ძლვდელი მათრახით ხელში და დაირეკა ხალხი: ახლოს არავინ მოეკაროთ ამ ემაწვილსაო. მიუბრუნდა ემაწვილს და უთხრა:

— აბა, წადი ჩავარდიო.

დედის შიში სულ ტეუილი გამოდგა, ემაწვილი ცრუობდა და დედას აშინებდა. არც არა დაიხრჩო და ხმაც ჩაწუვიტა.

ძღვდელი გაჯავრდა და ემაწვილის დედას უთხრა:

— შე უბედურო, მოვალე იყო ღვთის წინაშე, რომ ასე დაგიჩვევია და ავი შვილი გაგიზდიაო.

იმოდენა ხალხს ამისთანა ალიაქოთი შეუდგათ, სულ-კი ამ ერთის ემაწვილის გამო.

ამ ლაპარაკზე ჩვენს შუშანას მოაგონდა ერთი ამბავი და თქვა:

— ავი ზნის ემაწვილი მარტო დედ-მამის უბედურებაკი არ არის, ქვეყნის უბედურებაა. ავი სასიათის ემაწვილი იმისთანა საქმეს უზამს თავის თავსაცა და ქვეყანასაცა, რომ მტერი იმისთანას ვერ უზამს. ჩვენკენ ერთმა ემაწვილმა ერთი ასეთი საცოდაობა მოახდინა, რომ მთელი ხალხი დაღუპაო.

მე ძალიან გამიკვირდა და ვკითხე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ ერთმა უმაწვილმა? როგორ შეიძლებაა-მეთქი.

— შეიძლება, შვილო, და მოხდა კიდეცა.

— ღმერთო ჩემო! უმაწვილმა ხალხი დაღუპოს?—გეკითხავდი და თითქოს ჩემს თავსაც ვეკითხებოდი, როგორ მოხდებოდა-მეთქი.

— ჭო, შვილო, ჩვენკენ ყველას ახსოვს და ყველა ლაპარაკობს.—აი, გეტყვი, როგორ იყო,—და მოგვიყვა ამბავსა:

—ჩვენკენ, ახრუმის მხარეს, ერთ დროს ქრისტიანებზე მეტად აშლილნი ყოფილან ქურთები. სოფლებზე საომრად მიდიოდნენ, იკლებდნენ, საქონელი მიჰყავდათ, სახლებსა სწვავდნენ, დიდსა და პატარასა ხოცავდნენ; ვინც ცოცხალი გადარჩებოდა, ტყვეთ მიჰყავდათ თურმე. ძალიან არეულობა ყოფილიყო.

ქრისტიან ხალხს დიდი ხანი იყო ოსმალებმა საომარი იარაღი აჰყარეს: უბრალო ხანჯლის ტარებაც-კი არ შეეძლოთ. უიარაღო ხალხი ამ სოფლებისა რას უზამდა ქურთებსა და ოსმალებსა? იარაღიც რომ ჰქონოდათ ჩვენ სოფლებს, ვერაფერს გახდებოდნენ, რადგანაც დიდი ჯარებით დადიოდნენ ქურთებიცა და ოსმალებიცა. ერთს დროს-კი ეს სოფლელები თურმე ძალიან მეომრები ყოფილან და ბევრჯელ ტყეზე გაუძარჯვნიათ, მაგრამ ესლა-კი ტყეებს დაწოიკებულები ჰყავდათ. წინად მოსვენებულ გლეხებს მოსვენება მოაკლდათ, აღარაყის აღარ ახსოვდა მუშაობა, საქმე. სოფელს თურმე ვეღარ გასცილებოდნენ ტყის შიშითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ დღეს ამ სოფლების ამბავი მოუტანეს, რომ მტერმა აქეთ გამოიწია და თქვენკენ მოდისო. ხალხი დიდად შეწუხდა, შვიდმა სოფელმა გადასწყვიტა: თავს უნდა ვუშველოთ, ავიკარნეთ და ხეობაში გავეხიზნოთო. შორს წასვლას ვერარ მოასწრებდნენ, რადგანაც სასჩქაროდ უნდა გასულიყვნენ. იქვე ახლო-მახლოს ერთ ხევში დაუპირეს თავის შეფარება. შეუდგა მზადებას და ღამიანთ ცოლ-შვილით აიყარა მთელი შვიდი სოფლის ხალხი. რაც ჭქონდათ,—მოხარშული ხორცი, ყველი, კარაქი, გამომცხვარი ჰური, სულთან წაიღეს. წავიდნენ და იმ ხევში ჩავიდნენ. ხევი კარგა ღრმა იყო და განიერიცა, ისე რომ შვიდ სოფლის ხალხს კარგა დაიტევდა. იმედი ჭქონდათ, მტერი რო გამოიელის, რაც მოხვდება სოფელში, იმას წაიღებს და წავა თავის გზაზედაო. ჩვენ ცოცხლები ძაინც გადავრჩებითო.

ეს იმედი ჭქონდათ, მაგრამ თანაც ფრთხილობდნენ, რომ მტერს კვალი არ ეპოვნა ხევისკენ და შეხიზნულ ხალხს თავს არ დასხმოდა. ამიტომ სოფლებიდან გახიზვნის დროს იმისთანა გზებით იარეს და ისე იარეს, რომ მტერი ვერ მიმხვდარიყო, საით ევლო ხალხსა. საგულ გზებს მოუარეს და გზა აქეთ-ეთ ჩავიდნენ ხევში. ერთის სიტუეით ეს მნელი საქმე კარგა შეასრულეს და მტერი კვალს ვერ უპოვნიდა.

ხევში დაბინავების დროს ერთი საფიქრებელი კიდევ ისა ჭქონდათ, რომ ხმაურობა რამ არა ეოფილიყო. ვინაც-კი ცხენი ჭყავდა, ან ძროხა, ან კამბეჩი, თან არ წაიყვანა, მტერმა ხმაზედ არ გეიპოვნოსო. ამის გამო დიდი და პატარა ფრთხილობდა, ხმა-ძაღლა ლაპარაკსაც არა ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდა. ამას კარდა ცეცხლი არავის არ უნდა დაენთო, რომ კომლი არ გამოჩენილიყო. ერთის სიტყვით ხალხი მეტად ფრთხილობდა და იმედი ჰქონდათ ერთი-ორი დღის შემდეგ მტერი გაიყლის და გაიხსნულები შინ დაბრუნდებითო.

ორიოდ დღემ მშვიდობიანად გაიარა. მეორე თუ მესამე დღეს შემოესმათ შორიდამ მტრის ხმაურობა. ესმოდათ ცხენების თქორ-თქორი, ქურთების კიჟინა, ყვირილი და ურიამული. შეხიზნული გამბედავი კაცები ხევის ბირამდის ამოცოცდებოდნენ, მალვით თავს ამოჭყოფდნენ და ნაბირიდამ ცალის თვალით გასცქეროდნენ შორს მიმავალ ცხენოსან ქურთებს, ხედავდნენ იმათ გრძელ შუბებსა და მკლავზე აცმულ თეფშის ოდენა ფარებსა. ხედავდნენ,—ქურთები იმათ სოფლებს დასხმოდნენ და ერეკებოდნენ ძროხა-კამბეჩსა. მთელ ღამეს შორიდამ ხმაურობა ისმოდა და ზოგჯერ კიდეც ადამიანს ეგონებოდა, აქვე ახლოს, ხევის ბირას არიანო.

გათენებისას ნახეს, რომ მტრის ჯარი მოეფინა მინდორსა და ხევსაც კარგა მოუახლოვდა. სოფლის თავი-კაცები ხედავდნენ, რომ ქურთების ჯარის თავი კიდეც დაიძრა და წინ წავიდაო.

ეს სიხარულის ამბავი ხევში ხალხმა შეიტყო და ბევრმა ლოცვა დაიწყო. ღმერთს მადლობას შეადღიდებდა, აგერ საცაა მტერი გაგვეცლება და გადაგრჩებითო.

ამ იმედისა და სიხარულის დროს ყველგან ისეთი სიჩუმე იყო ამოდენა შეხიზნულ ხალხისა, რომ ცხენის ფეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ხმაურობა ყველას კარგა ესმოდა. და აი სწორედ ამ დროს ერთი უმაწვილის ტირილი გაიგონეს.

ხალხი შეშფოთდა, მიიხედ-მოიხედა, საიდამ მოდის ეს ტირილის ხმაო. ნახეს, ერთ მხარეს დედის გვერდით იჯდა ბატარა, შვიდი წლის უმაწვილი და გაჭკიოდა: ლავაში მინდა, ლავაშიო!

ეს ხმა სწორედ მეხივით დაეცა ამოდენა ხალხსა. ყველგან ჩოჩქოლი შეიქნა. სოფლის თავი-კაცები მაშინათვე წამოცვივდნენ და რიგის მიცემას შეუდგნენ, რომ ხალხში ხმაურობა არ ატეხილიყო.

— მიეცით ლავაში, მიეცით,—ჩუმის ხმით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ვინც-კი მტირალა უმაწვილის ახლო იყო.

უმაწვილს მიუახლოვდა რამდენიმე კაცი, დაუწყეს დაყვავება და ალერსი:

— ნუ ტირი, მოიცადე, აი ეხლავე მოგიტანენ.

გზავნიდნენ უმაწვილის დასაჯერებლად კაცებს:

— წადი ჩემ ბიძა-შვილს სთხოვე, ლავაში გამოგზავნე-თქო. მეორე ვითომ მძას უგზავნიდა კაცსა, მესამე ცოლსა. უმაწვილი ძაინც ტიროდა და გაჭკიოდა: — ლავაში, ლავაშიო!

გარს შემოხვეული კაცები ვითომ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსა, ჩემ ბიძას უფრო კაი ლავაშები აქვსო. მეორე ეუბნებოდა, არა ჩვენისთანა როგორ ექნება, ჩვენი სჯობიაო; ასეთია, რომ ღმერთმა შეარცხვინოს იმისთან იაღლუ და ქადაო. ამ ლაპარაკით უნდოდათ უმაწვილი გაერთოთ და ტირილი მოეშლევინებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უმაწვილი ტირილს თითო წამს თუ შესწვეტ-და, მერე ისევ მოაყოლებდა და წიოდა.

აქეთ-იქით ვაგზავნილი კაცები ბრუნდებოდნენ და ლაგა-ში ვერ ეშოვნათ. მოჭქონდათ ქადა, ნაზუქი, კარაქ-ფაცხე-ბული ჰური, თაფლი. ელაპარაკებოდნენ უმაწვილსა:

— აი ჯერ ესა ჭამე და ლაგაშსაც მოიტანენო. ესა და ეს კაცი დაგვპირდა, ჩვენ არ მოგვცა, გზაზე შესჭამთო და უმაწვილს არ წაუღებთ, მე თითონ ჩემის ხელით მოგუ-ტანო.

— მერე რატომ არ მოიტანა, მატყუებთ განა?... ჯაი ლაგაში, ლაგაში!—ყვიროდა უმაწვილი.

ხალხი გარს ეხვია, მოჭქონდა ვისაც რამ კარი საჭმე-ლი ჭქონდა და უმაწვილი-კი ხელს არაფერს ჭკიდებდა. უურიდნენ კალთაში ხილს, ვაშლს, თათარას:

— აი ეს თათარაც ლაგაშიაო, ტკბილია, აბა ნახეო. არ იქნა, ვერ დააჩუმეს.

დედა დიდს მწუხარებაში იყო. ხალხი უფრო მომატე-ბულად სწუხდა. უმაწვილის გარშემო მოხვეულ ხალხს ხმა მაღლა ვერ ელაპარაკნა და გულში ჯავრი ვედარ დაეტია: ვინც მოშორებით იდგა, დიდი და ჰატარა, ამ უმაწვილისკენ იყურებოდა და ხელით ანიშნებდნენ, დააჩუმეთო. ხოფლის თავი-კაცები დიდს გაჭირებაში იყვნენ. თავ-თავის ხოფლის ხალხს აფრთხილებდნენ, ჩოჩქოლი არ დაიწყოთო და კა-ცებსა გზავნიდნენ უმაწვილთან.

ერთი კაცი მივიდა დედასთან, უნდოდა უმაწვილი მო-ეტაცნა და უფრო შორს წაეყვანა ხვეის მიყრუებულ მხარეს. უმაწვილმა ამაზე უფრო ყვირილი მორთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ეხვეწებოდა შვილსა, დაჩუმებულიყო. ყოველის მხრით ესმოდა სუყვედური და წყევლა. საითაცკი მიიხედავდა, ყველგან ძრისხანე სახით უყურებდნენ. ბალღს შუბლის კალთა ეჭირა და არას უგონებდა. დედა რამდენჯერმე ისეთ გულზე მოვიდა, რომ ცემაც დაუჭირა, მაგრამ ემაწვილი მოღერებულ მუშტს უფრო ღრიალს იწყებდა.

მოშორებით, სოფლის თავკაცებს ერთმანეთში რაღაც ლაპარაკი ჰქონდათ. მოვიდა ერთი, მივარდა მტირალა ემაწვილს და ჰირზე ხელი დააფარა, ნუ ტირიო. ემაწვილი დედას მივარდა, და დედამ ხელები გადაჭხვია.

— ხმა გაკმინდე, ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავო,— უთხრა კაცმა და ხელი ისევ ჰირზე აფარებული ეჭირა.

ამაზე ემაწვილმა ეთქვა, საშინელი ეთქვა დაიწყო.

—ღმერთო, ღმერთო, დაგვიხსენ განსაცდელისაგან!—ჩუმის ხმით ამბობდა ხალხი,—დაგვლუპავს, დაგვლუპავს!

— მოკალ, ხმა არ ამოაღებინო! —ეუბნებოდნენ ახლო მდგომნი იმ კაცს, რომელსაც ემაწვილისათვის ჰირზე ხელი მიეფარებინა.

ემაწვილი ისევ ეთოდა. კაცმა გამოგლიჯა დედას შვილი, მოიწია, რომ წამოვიდეს და ემაწვილი წამოიყვანოს. გაფთრებული დედა გამოექანა და ისევ გამოჭვლიჯა შვილი ამ კაცსა. თვალ-ცრემლიანი და ფერ-წასული დაეშვა დედა-მიწაზე, შვილი კალთაში ჩაისვა.

ხალხი გრძნობდა დედის მწუხარებას და ებრალებოდა. ყველანი შედგნენ დედის წინ. ახლოს იყვნენ, მაგრამ აღარავინ მიეკარა. ის გაანჩხლებული კაციცკი უღონოდ შედგა და ეყურებდა, იქნება ემაწვილი ახლა მაინც გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუმდესო. მაგრამ უმაწვილი მაინც ყვიროდა საშინელის ხმით:—ლავაში, ლავაშიო!

— ღმერთო დაგვიფარე!—გაისმა აქა-იქ ხმა.

ხალხმა დაიწყო ხევის ნაპირისაკენ ეურება. ცხენის თქორ-თქორი და კიჟინის ხმა ახლოვდებოდა. რამდენიმე ცხენოსანი ქურთი ნაპირს წამომდგარიყო და ხევში ჩასასვლელ გზებს ათვალიერებდა. უმაწვილის ხმა გაეგონათ!

ხევში დიდი ვაება ატუდა. ეველგან დიდი და ჰატარა აიშალა, დედა-კაცების და უმაწვილების ტირილის ხარი ზეცას ადიოდა. საჰარელს ამბავს ელოდნენ.

ქურთები დაეშვნენ ხევში, და ღმერთმა დაიფაროს ეოველი ადამიანი, რაც იქ ხალხს მოუვიდა. იმოდენა ხალხი გაჟლიტეს და ამოსწეეიტეს, რომ სისხლის დვარები ადინეს.

— აი, ასე, ერთმა აეის ზნის უმაწვილმა შეიდი სოფელი დაღუპა და დღეს იმ შეიდის სოფლის ადგილს აოხრებული ნასოფლარებია.

ამ სიტეეით დასრულა შუშანამ თავისი ამბავი.

პეტ. უმიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეული ყვავილი

ადრიან გაზაფხულზედა,
თებერვლის მზიან დღეშია,
ყვავილმა გამოიხედა
განაპირებულს ტყეშია.

ყვავილი იყო ლამაზი,
სუნნელი, ნამებ-ცვრიანი,
გეკონებოდათ: ერთადა
შეყრილან ვარდნი, იანი.

გადაიშალა ტურფადა,
უხვად დაიწყო ფშვინვაო,
მზე უკზაენრდა სხივებსა,
რა დაკლებდა ყინვაო!

გაშალა ნაზი ფურცლები,
რაკი მზემ გამიცინაო,
აღარ ფიქრობდა საბრალო,
თუ მარტი მიდგეს წინაო!...

მარტი ჩამოდგა, გაჯავრდა,
ცას წარბი შეაკრეევინა
და ნაღელიანსა ცრემლები
მიწაზე დააღვრევინა.

დაადო თოელი საწყალსა,
ზედაც დასწვიმა კიდევა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შეუყინა, დაზრება—
ყვავილი ელდით ილეკა:

თრთის, თანაც ნატრობს შერჩენას
თუნდა-ღა ერთის ღერისას,
არ ჩიეის ფურცელთ დაცვენას,
გაალქატებას ფერისას!

უძლო და იღონღიალა....
მარტი უფრორე სწყრებოდა,
ყვავილი მიდგა ყუაზე,
ის იყო სული ჰხდებოდა!...

ილბალზე, მარტი გავიდა,
სესხიც თან მიჰყვა ტიალი;
მზემ ძალა გამოიჩინა,
წალმა დაიწყო ტრიალი.

დღეები გათბა, გაცოცხლდა
მიდამო მრავალ-ფრიანი;
ენძელმ თავი ამოყო,
ბუჩქში აყვავდენ იანი.

ყველგან გაისმა სიმღერა,
ვალობა ათასნაირი,
ულელზე მეხრის ღიღინი,
მეძროხეების შაირი.

ამოჩნდენ ახლო-მახლოსა
ყვავილის ნათესაობა,
იმათ საბურავ-საცმელსა
ეტყობა სხვა-და-სხვაობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმც ყვავილს სითბო იამა,
მაგრამ დაწყლულდა გულშია,
ეაი-ეაგლახით სულდგმულობს
მზის ალერს-სიყვარულშია.

დამზრალსა, შეცივებულსა
სწყენს სითბო, მზისა სხივები,
მზე-კი კვეხულობს—„ეავთბე
დამზრალი, შენაცივები!“...

ზეზვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ბრჭყვინავს—ყველა ოქრო არ არის

(ფრანგულიდან)

ელ-მამამ ერთხელ თავის ათის წლის მარო ცირკში წაიყვანა.

მაროს ძალიან მოეწონა ცირკი, მშვენიერად განათებული დიდი დარბაზი, მუსიკის დაკერა. პატარა მასხარა ბაშების გრეხა-პრანჭვამ ხომ იმდენი აცინა, რომ ბევრი სიცილისაგან სულ ცრემლები მოსდიოდა. მარო გაფაციცებით და დიდის ყურადღებით შესცქეროდა ამათ. ძალიან ართობდნენ ავრეთვე გაწერთნილი პატარა ლამაზი ძაღლები.

მაგრამ ყველაზედ მეტად ეს ყმაწვილი აღტაცებაში მოიყვანა ერთმა პატარა ქალმა, რომელიც მშვენიერად მორთული იყო ოქრო-მკედით მოქარგულ სხვა-და-სხვა ფერადი ტანისამოსით. თავი და ყელყური შემკული ჰქონდა ბრჭყვიალა თვლებიან სამკაულებით.

ეს პატარა ქალი ფეხის ცერით იდგა ცხენზედ და ისე აჭენებდა. მარდად გახტებოდა რკალში და ისევ კიჟინით შემოახტებოდა გაჭენებულ ცხენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებლები გაცხარებულ ტაშს უკრავდნენ და აუარებელს ყვავილებს უძღვნიდნენ.

— აი, ბედნიერი სწორედ ეს ყოფილა!—ფიქრობდა მარო დაძინების წინეთ, — რა მშვენიერი კაბები ჰქონდა! ოქრო და ვერცხლში-კი იჯდა! მერე სულ ჯირითობს და მიაროლობს, ჩემსაითი სასწავლებელში-კი არ დადის, ამ რაღაც მიხაკის ფერის კაბით. ვინ იცის, სულ შაქრის პურებით და ქადებით არის გაზდილი!! ჩემსაითი ყოველ დილას რაღაცა წყალ-წყალა ჩაის-კი არ შეახერეტენ... მერე რა ნაირად მიჯაერდებიან, როდესაც არ მიამება ხოლმე ამ ნაირი დილის საუზმე... რა ბედნიერი უნდა იყოს ს ქალი!

ამ ფიქრებში და ოხერა-კენესაში იყო ჩვენი მარო, რომ ჩაეძინა.

მეორე დღეს მარომ განცვიფრებულმა გამოიღვიძა, სიზმარში ნახა ცირკი და მორთული, მპიარული პატარა მოჯირითე ქალი.

ყმაწვილს ფიქრები განუახლდა და თავის-თავი ისე უბედურად მიაჩნდა, თითქოს თავის სიცოცხლეში კარგი არა უნახავსრაო. სულ იმაზედ ფიქრობდა,—როგორ გაეპაროს დედ-მამას და მივიდეს იქ, სადაც ბედნიერება ეგულებოდა. დიდ ხანს ფიქრობდა, სახლიდამ ისე როგორ გაეპარო, რომ არავინ მნახოსო. ბოლოს მოისაზრა, რომ სასწავლებელში წასვლის მაგიერ იქით გაეპარები, საცა ცირკია, და მაშინ ადვილად მივაღწევ ჩემს სურვილსაო.

მაროს გარდაწყვეტილება ადვილი ასასრულებელი საქმე არ იყო,—თითქოს განგებ, მარო ამ დღეს მარტო არ დასტოვეს და, რაღაც მიზეზის გამო, არც სასწავლებელში გაისტუმრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა საღამო. მარო უფრო მოუნდა გაქცევა და თავი თავი კელავინდელზედ უფრო უბედურად მიაჩნდა. ამიტომაც მეორე დილაზედ მაინც-და-მაინც გაქცევას აპირებდა.

მარო ეკონა, რომ ეს ღამე გაუთავებელი იქნებაო, მოუსვენრად იყო, ხან ელვიძა, ხან სთვლემდა, და თვალ წინ-კი სულ მომაველი ბედნიერება ეხატებოდა.

სანატრელი დილა დადგა. მარო ადრიანად შეუდგა მზადებას სკოლაში წასასვლელად. დედამ ცოტა არ იყოს გაიკვირვა, რომ მარო ასე ჩქარობს სასწავლებელში წასვლას..... კელავინდელსავით თხოვნა აღარ დასჭირდა.

რვა საათზედ მარო გამოვიდა თავის სახლიდამ და ქუჩაში მარტო დარჩა. სრული თავისუფალი იყო, საითაც უნდოდა, იქით წავიდოდა.

ის-ის იყო მარომ შეუხვია დიდ მოედნისაკენ, სადაც ცირკი იყო, რომ ერთს თავიანთ ნაცნობ ქალს წააწყდა.

— მაროს გაუმარჯოს, როგორა ხარ! დიდი ხანია არ მინახვიხარ! შენი გულისა, რა ნაირად გაზდილხარ! უთუოდ სასწავლებელში მიდიხარ. ყოჩაღ, აგრე უნდა, ეიცი რომ გიყვარს სწავლა, — სთქვა ეს, გამოემშვიდობა და გასწია თავის გზაზედ.

მარო ცოტა არ იყოს შეფიქრდა, შეჩერდა, თავი ჩაჰკიდა, მაგრამ ისევ მალე თამამად თავი მაღლა აიღო—ეხლა აღარაკინ დამიშლის ცირკში წასვლას,—და სწრაფად შეუხვია ქუჩას.

ის იყო ცირკის გზას დაადგა, რომელიც სასწავლებლის მეორე მხარეს იყო, მაგრამ აკი უეცრად დაინახა, რომ პირ-და-პირ ამ.ასკენ მოდის ამის პატარა ბიძაშვილი. რომ არ შეხვედროდა ოესს, მარო უკან დაბრუნდა და ცირკის მეორე გზას დადგა. ჩვენს მაროს არაფრად მოსწონდა ასე უდროოდ შეხვედრა,— მეც რაღა ყველანი დღეს ამიტყდნენო?!

მარო თავისას არ იშლიდა, და სწრაფად მიეშურებოდა ცირკისკენ.

მივიდა თუ არა ცირკში, პირველადვე ცირკის უფროსი ნახა და დაუწყო თხოვნა,—ამიყვანეთო, უამბო, რომ სახლში მოწყენილი ვარ, სწავლა არ მიყვარს და ძალას-კი მატანენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა ბედზედ ცირკის უფროსი სეინიდისიანი კაცი გამოდგა და ყმაწვილის სისულელეს მიხედა. ჯერ ბევრი ათხოვნინა, და მხოლოდ მერე დაჰპირდა: კარკა ისწავლე, გაიწურთნე და მაშინ აგიყვანო.

მარიოს აუსრულდა გულის წადილი,—ეხლა ესეც იმ ქალსავით იჯირითებს, იმისავით ოქრო-მკედით მოქარგულ კაბებს ჩაიცვამს!...

ყმაწვილმა თავალი მოაელო გარშემოს და გაიკვირვა.

ცირკის შიგნით ოთახში ღღით დიდი უსუფთაობა იყო: ყველა ერთად ირეოდა—კაცი და დედა-კაცი, დიდი და პატარა. აქვე გვერდით ცხენები ებათ. ის მოჯირითე ქალიც ნახა, მაგრამ ახლოს ძალიან გამხდარი და მოწყენილი იყო, არც ტანისამოსი უვარგოდა — ჭუჭყიანი, დაბრანძული რაღაც კაბა ეცვა.

ან სად იყო მუსიკის ის მხიარული ხმა, ის სიმდიდრე და მშვენიერება, რომელმაც იმ ღამეს მარო ასე აღტაცებაში მოიყვანა!

ყმაწვილს აღარც დაეცალეს, რომ ბევრი ეფიქრნა. ერთი დედა-კაცი მიუახლოვდა და მრისხანე ხმით უთხრა:

— წამო, ისწავლე! აქ საყურებლად ხომ არ მოსულხარ, რას შემოგვეცქერი!

დედა-კაცმა დაუწყო თოკზედ სიარულის სწავლება. მარიოს საქმე ძალიან გაუჭირდა, ერთ საათს შემდეგ დაღალისაგან ხელებს ძლიესღა ხმარობდა.

— არ მეგონა, თუ ასე ძნელი იქნებოდა თოკზე სიარული და რკალში გახტომა,—ფიქრობდა თავისთვის მარო.

იმ ღამინდელი ცქვიტი და მარდი ძაღლებიც ეხლა კუთხეში ეყარნენ და სიმშალით წვეკურებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ დიდი ჯაფა ჰქონიათ, სწაელაზედ უარესი ყოფილა!

მაროს საჭმელადაც მხოლოდ გამხმარი პატარა პურის ნაჭერი მისცეს. სად არის შაქრის პურები და ქადები? ეს მ.ითამაშეებიც, რომელნიც, მორთულნი, შორიდამ ისე ლამაზად ჩანდნენ, ახლოს საძაგლები იყვნენ; ალრეჯილი და მიგრეხილ-მოგრეხილი სახეები სხვადა-სხვა საღებავებით გათხუპნული ჰქონდათ.

მაროს აღარ ეჩვენებოდა ცირკი მშვენარად!

მარომ კუთხეში დაინახა ტურტლიანი მოკლე კაბები, რომელიც ვარაყიან ქაღალდის ეარსკვლავებით მოერთოთ.

— ეს იყო ის მშვენიერი ოქროსაეით ბრჭყვინავი ტანისამოსი?!

მაროს თვალებზედ ცრემლები მოაწვა.... თითქმის ტიროდა.

მოიგონა თავისი დედ-მამა. საშინლად ნანობდა, ნაღელობდა, რომ მოშორდა. სასწაელებლიდამ დაბრუნების დრო კარგა ხანია გავიდა. დედ-მამა უთუოდ ამას დაეძებს, ჭგონიათ, დაიკარგაო. მერე რა ნაირად უყვარდა დედ-მამას თავიანთი მარო! ცირკი რომ წავიდეს სადმე და ესეც თან წაიყვანონ? ხომ ეეღარ ნახავს დედ-მამას!

ამ ფიქრებმა მარო სულ უნუგეშო ყოფაში ჩაადგო. დაიწყო ტირილი. ცირკის უფროსს ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა და სთხოვდა, —სახლში გამისტუმრეო!

ცირკის უფროსს მაროს წასაყვანად არა სცალოდა, თანაც უნდოდა დაესაჯა და კარგა ბინდამდის ასწავლებინებდა ყველა იმ ვარჯიშობას, რაც უფრო ძნელი იყო.

ღამე კარგად გასული იყო, როდესაც ცირკის უფროსმა ყრაწვილი დედას მიჰგვარა.

მაროს საბრალო დედა ნაღელისაგან კინაღამ ჭკუიდამ შეშლილიყო.

ს. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის-შვილი და ბებია

I

ბმარტოებით ფანჯრის წინ
წინდებსა ჩხლართავს ბებია,
ცისფრად უელავს თვალებზე
დიდრონი სათვალებია.

დანაოჭებულ სახე-პირს
ეტყობა მოუძლურება;
ხან-გამოშვებით კუთხისკენ
მალი-მალ გაიყურება.

კუთხეში ხუჭუჭ-თმიანი
ბაშვი ბოძს მიჰყუდებია,—
ცნობის-მოყვარე თვალებით
რაღასაც მისჩერებია.

სახლში რას ზიხარ მარტოკა,
ჩემო პატარა მთვარეო?
სად არის შენი კომბალი,—
ბაღჩისკენ ჩაიარეო!

ვინ იცის, უწყლოდ ბღავიან
შენი ფუჩუნა ხბორები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან აოხრებენ ძირიან
იქაურობას ღორები?

დაუძახებდი ტასოსაც,
ითამაშებდით რამესა,
ისედაც კმარა შინ ჯდომა
ამ ქალაქია ღამესა.

კარგად რომ ვიყო, შემეძლოს
უძლური ტანის ტარება,
გამოგყვებოდით... ზაფხული
ნელ-ნელა მიიპარება....

დღითი დღე იცვლის ველი ფერს,
ხევები იფურცლებიან,
თბილ ქვეყნებისკენ საცაა,
ფრინველებიც გაფრინდებიან.

რო დაღრემილხარ, ნეტავი
ვიცოდე, ჰფიქრობ რაზედა?...
შეხე, მზე როგორ კაშკაშებს
ღრუბელი არ სჩანს ცაზედა.

სიო არ იძერის, უყურე,
ტყეც როგორ მიწყნარებულა.
ჯერ ამისთანა მშვიდი დღე,
არსად არ გათენებულა.

II

მიუახლოვდა პატარა
ბებიას, მოსილს შავითა,
და ჩაუგორდა კალთაში
ხუჭუჭ-თმიანი თავითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიანათა დიდედას
ცეცხლსავით შავი თვალები;
ბებიას სიხარულისგან
აუკანკალდა მკლავები

და უთხრა:—ხილი მოგინდა
შენ, ჩემო ცუგრუმელაო?
სკამი მიიდგი, კიდობანს
თავი ახადე ნელაო

და ამოიღე, რაც გინდა,
ჩაიტკბანურე პირიო,
ეაშლების გვერდზე აწყვია
მსხლისა და პანტის ჩირიო.

—ხილი არ მინდა, ბებილო!...
— რატომ, შენ გამახარეი?!...
შე კუდიანო, უთუოდ
კიდევაც მიიპარეი,

და გამოძეხი, როცა მე
ტახტზე მეძინა ტკბილადა?
ეს რომ არ იყოს, აბა შენ
უარს რად იტყვი ტყვილადა!

ვინ იცის, მოუსვენარო,
ჩემი სიცოცხლის მზის-გულო,
მიმიფუტკნ - მომიფუტკნეი
ქამნი და სამოციქულო.

— რაღაც ყდიანი წიგნები
მე რად მინდოდა, ბებია...
დღეს ჩემი ხელი კიდობანს
სულაც არ მიჰკარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რად ხარ გაჯავრებული?
სჩანს ბევრი იონავარე?
— არ მიგიყნია, დედას მზემ,
არც-კი გავსულვარ სახლ-გარე!

— იქნება თამაშობის დროს
ბაზმა ჩააქერ ხატის წინ?
— არა ბებილო, ბებია....
როცა მოკლნიდი შენ გუშინ,

ასე ამბობდი: «ჩემს მერცხალს,
ბებიის ნებიერსაო,
როდესაც დაჭკვიანდება,
ეუყიდი ყველაფერსაო».

— წინდები გინდა, გენაცვა,
თუ პაიტები შავები?
წითელი საგულის-პირე,
თუ ჭრელი ჩახსაკრავები?

— არც ერთი ბები, — ყველაფრით
მე გული მოეიჯერეევი, —
სკოლაში მინდა ვიარო,
და აბგა შემიკერეევი.

— რა დროს სკოლაა, სიცოცხლეე,
ეიღამ გარეკოს ხბო-ფური?
დაჯე, გიამბობ ზღაპრებსა,
სჯობს, რომ დამიგდო მე ყური.

— ბებილო, შენგნით ზღაპრები
მრავალი მომისმენია,
მითხარ, რაც მართლა გინახავს,
რაც თავზე გადაგხდენია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

გუშინ ჩვენს ქვემოდ, მარტოკა
სკოლისკენ ჩავიარეევი,
მომინდა ყურის დაგდება,
ფანჯრის წინ მივიპარეევი

და დავინახე ბაშვები —
რიგი ჯდებოდა — დგებოდა,
მასწავლებელი ხმა-მაღლა
ზეპირად ეუბნებოდა, —

თუ სად რა ქვეყანა არის,
სად რა ზღვები და წყლებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენგან შორს თურმე მრავალი
ტყე, სოფელ - ქალაქებია.

სად უფრო თბილა და ცივა,
ტბები რად იყინებიან,
რა არის წვიმა, ღრუბელი,
და საიდგანა ჩნდებიან.

როგორ ცხოვრობდნენ ჩვენზე წინ...
ხალხი რით იკვებებოდა...,
ღმერთის წილ თაყვანს ვის სცემდენ,
კაცი ვის ეეედრებოდა.

ზოგ ბალღებს ამ დროს, დიდედავ,
ძირს ჩაელუნათ თავები,
ჰხატავდნენ ათას რამეებს,
წინ ეწყოთ სახატავები.

როდესაც მორჩნენ სწავლასა,
ფეხზე წამოდგნენ ყველანი,—
სიმღერა მორთეს... ბევრს მათგანს
ხელზე გადესხა მელანი.

მეც შემიწვია ოსტატმა,
მითხრა:—სად იარებიო,
მოდი შენც ჩვენთან იმღერე,
შორით რას იცქირებიო.

უთხარი მშობლებს, გატარონ,
სახლში რას ზიხარ ტყვილადა,
როცა ისწავლით, შენც და სხვაც
მადლობას მეტყვით ხშირადა.

IV

გამიშვი, ბები, ვისწავლი
იქ წერა-კითხვა—შაირებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხატავ, მოგირბეინებ
სურათებს მრავალ-ნაირებს.

და მიაშტერდა ბებიას
პასუხის მისაღებადა;
მიმქრალ თვალებში ალერსით
ჰკოცნიდა ნება-ნებადა.

ცრემლი მოადგა დიდედას
სიხარულისგან თვალებში
და ჩუმად წაიტუტუნა,—
„ეიღა ვატარო ხარებში“.

— შენი ნებაა, გენაცვა,
წადი, ისწავლე რამეა,
მეც ვიცი,—სწავლა დღე არის,
უსწავლელობა ღამეა.

ისწავლე,—წამლად დაგედე...
და გადახვია ხელები.
ახლავ გთხოვ, გებრალებოდეს
ჩემსავით უსწავლელები...

სიხარულისგან კინაღამ
გადააგორა ბებია,
გადუკოცნ-გადმოუკცნა
დამჭკნარი ლოყა-ყბებია,

და გამოეარდა ნუკრსავით,
როგორც შურდული, კარებში,
გაფრინდა შავარდენსავით
ბალისკენ ხეივანებში.

ბებერს-კი, გახარებულსა
პატარა მატაოკითა,
ხან ეცინება, ხან ცრემლებს
იწმენდავს ხელსახოცითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი სიჩუქარი

გერმანული ზღაპარი

(გადმოღებული ფრანგულიდან)

I

ერთ პატარა ქალაქში სცხოვრობდა ერთი პატიოსანი თერძი, რომელსაც ჰყავდა სამი შვილი. უფროსს ერქვა გიორგი, მეორეს ისიდორე და მესამეს დავითი. სამთავეემ სსვა-და-სსვა სელობა შეისწავლეს და, როდესაც გაათავეს სწავლა, წავიდნენ სამუშაოს საძებნელად.

ჯერ წავიდა გიორგი, ბევრი ქალაქები და სოფლები მოიარა, ფულები თიოქმის შემოელია და ძალიან დაღონდა, რომ სამუშაო ვერ იშოვნა. როდესაც გიორგი ასე დაღონებული მიდიოდა, შეხვდა ერთი გულთმისანი ბერი-კაცი და ჰკითხა:

— სად მისვალ, შვილო, რადა სარ ეგრე მოწყენილი? მითხარი!

— რამდენი სანია,—უპასუხა გიორგიმ,—დავდიკარ ერთი ქალაქიდამ მეორეში, ერთი სოფლიდამ მეორეში და სამუშაო-კი ვერ მიშოვნია; სახარჯო ფულიც შეძოველია. აი ეს არის ჩემი მოწყენილობის მიზეზი.

— რა სელობა იცი?

— დურგალი ვარ.

— ჰო, სწორედ, მაგ სელობის კაცს ვეძებდი მეც,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიძახა მხიარულად ბერი-კაცმა,— წამოდი, შვილო, აგერ ამ ტყეში ვდგევარ და იმედი მაქვს, კმაყოფილი დარჩები.

გიორგი დიდის სიამოვნებით გაჰყვა ბერი-კაცს. რამ-დენიმე ნაბიჯი გაიარეს და მიადგნენ ერთ მშვენიერ ჰატა-რა ხის სახლს. ბერი-კაცმა გიორგი შეიყვანა თბილს ოთახში, რომელიც ლამაზად და სუფთად იყო მოწყობი-ლი. კერასთან იჯდა ერთი ბებერი დედაკაცი, რომელიც სიჩქაროდ წამოდგა ფეხზე და ახალგაზდა ხელოსანს ბარ-გის მოხსნა უშველა. შემდეგ გაიხალა სუფრა, მოიტანა მშვე-ნიერი თეთრი ჰური, ღვინო და სხვა-და-სხვა ფერი ცხელ-ცხელი საჭმელები. ბერი-კაცმა ვახშმად მიიწვია გიორგი და მთელი ღამე მეგობრულ ბაასში გაატარეს.

მეორე დღეს გიორგი შუადგა თავის მუშაობას. ისე გულ-მოდგინედ, მხიარულად და მარდად მუშაობდა, რომ არც ერთხელ სამდურავი არ გაუგონია ბერი-კაცისაგან.

რამდენსამე თვეს შემდეგ ბერი-კაცმა უთხრა:

— მე, ეხლა, სამუშაო ადარა მაქვს, შვილო, და ვერც ფულს მოგცემ შენი შრომის ფასად. აი წაიღე ეს ჰატარა სტოლი, რომელიც ვერცხლსა და ოქროს სჯობია. როდე-საც დაგჭირდეს, უთხარი:—«ჰატარა სტოლო, გაიშალე!»— სტოლი გაიშლება და მოგერთმევა ფერად-ფერადი საჭმე-ლები. ეხლა-კი მშვიდობით! არ დაივიწყო ბერი-კაცი, რო-მელიც ტყეში ცხოვრობს.

გიორგი გულ-დაწყვეტილი მოშორდა ამ სახლს და ტყეს, სადაც ამდენი ბედნიერი დღე გაატარა, მაგრამ ის-კი ძა-ლიან უხაროდა, რომ ამისთანა განძი მოიპოვა. გიორგი გაემგზავრა და როდესაც მოშიგდებოდა, ეტყოდა თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოლს:—ჰატარა სტოლო, ბოდა, მოერთმეოდა დანაჩანგალი, კოვზი, თეთრი ჰური, ერთი ბოთლი ღვინო და ფერად-ფერადი საჭმელი. გიორგი გემრიელად შექექეოდა ხოლმე ამ საჭმელებს და კარგად რომ გაძღებოდა, დაჭექდა სუფრას და შეუდგებოდა ისევ გზას.

ერთ დღეს მოახლოებული იყო თავის სახლთან, რომ ძალიან დაუღამდა, და შეიარა სასტუმროში ღამის გასათევად. ის ჰირ-და-ჰირ შევიდა ოთახში და ჩაკეტა კარები, რომ ვახშამი ეჭამა. სასტუმროს ჰატრონს უნდოდა ენახა, რას აკეთებდა ჩაკეტილ ოთახში მისი ახალი სტუმარი, და დაუწყო ჯუჯუტანიდამ ეურება; სწორედ იმ დროს გიორგის სტოლი გადიშალა და სხვა-და-სხვა ფერი საჭმელი მოერთვა. სასტუმროს ჰატრონს ძალიან გაუკვირდა და გადასწვიტა, შეეცვალა ეს სტოლი.

მეორე დღეს, გიორგი რომ ადგა და წასასვლელად ემზადებოდა, სასტუმროს ჰატრონმა შეუცვალა სტოლი და იმ გვარივე სტოლი მოუტანა.

გიორგი ძალე მივიდა სახლში და შესულისათანავე ძლიერულად დაიყვირა:

— ეხლა აღარაფერი გვიშავს, ბევრი ეუშაობა აღარ დაგვჭირდება, რადგან საჭელ-სასმელი ძლად მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერთმევა. აი, სადავთ ამ სტოლს, კარგად უყურეთ! მერე მიუბრუნდა თავის სტოლს და უთხრა:—ჰატარა სტოლო, გაიშალე!—სტოლი არ ინძრეოდა. კიდევ რამდენიმეჯერ გაიმეორა, მაგრამ სტოლი ისევ ისე უძრავად იდგა.

— აფსუს, ჩემო საწყალო გიორგივ!—უთხრა მამამ,— ამდენი თვის შენი ნამუშავარი მარტო ეს ჰატარა სტოლია? მებრალები, სწორედ. წადი, შვილო, გულ-მოდგინედ იმუშავე, რომ მოიგო დაკარგული დრო.

გიორგიმ მორცხვად ჩადუნა თავი. იმას მოაგონდა ის მშვენიერი და გემრიელი საჭმელები, რომელიც ამ სტოლზე დალაგდებოდა ხოლმე და ვერ გაეგო, ესლა რა მოუვიდა.

II

ამავე დროს იმისი შუათანა ძმა, ისიდორე, რომელიც მეწისქვილე იო, გაემგზავრა სამუშაოს საძებნელად და სწორედ იმავე ტყეში მოუხდა გავლა, საცა ჩვენი ნაცნობი ბერიკაცი სცხოვრობდა. ისიდორეს ბერიკაცი გზაზე შეხვდა, წაიყვანა თავის ახალ აშენებულ წისქვილში და დაუნა მეწისქვილეთ.

რამდენსამე ხანს შემდეგ ბერიკაცმა უთხრა ისიდორეს:

— ძალიან გულ-მოდგინედ და ჰატიოსნად მუშაობ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ შენი მუშაობა ადარ მწირია. შენი შრომის ფასის მოცემა არ შემიძლიან, მაგრამ იმისთანა საჩუქარს მოგცემ, რომ სამუდამოდ გამდიდრდე და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერდა:—წაიყვანე ეს ვირი და როდესაც ეტყვი: «კარგო ვირო, დაიტოროინე»,— ეს გადმოჭერის ჰირიდან ყერცხლსა და ოქროს.

ისიდორემ ძალე გამოსცადა, და მართლაც ვირმა ახალ-ახალი ოქროს და ყერცხლის ფულები გადმოყარა.

— რა ბედნიერებაა!—წამოიყვირა ადტაცებით ძმაწვილმა: — მე ეხლა ჩვენ ქალაქში ყველაზე მდიდარი ვიქნები.

გზაზედ აკი ამასაც იმავე ალაგას დაუდამდა და იმავე სასტუმროში გაჩერდა, საცა გიორგის სტოლი შეუცვალეს. ისიდორემ მოითხოვა ვახშამი და სასტუმროს პატრონმა დანახარჯი მოსთხოვა.

— მომითმინეთ პატარა, — უთხრა ისიდორემ,—ეხლავე მოგიტანთ ფულს.

აიღო ხელსახოცი, შეიდა ბოსელში, საცა ვირი ება, და უთხრა:—კარგო ვირო, აბა ერთი დაიტოროინე.

ის ეშმაკი სასტუმროს პატრონი ამასაც ჯუჯუტანიდამ უყურებდა და მეორე დღეს, როდესაც ახალ-გასდა მეწისქვილე მიდიოდა სახლში, გამოუყვანა ვირი, მაგრამ ისაკი არა, რომელიც კეთილმა ბერი-კაცმა აჩუქა. ის სასტუმროს პატრონმა თავისთვის დაიტოვა და სხვა იმის მსგავსი ვირი მისცა. ისიდორემ ვერაფერი შეამჩნია და არხეინად გაემგზავრა სახლისკენ. შეიდა თუ არა სახლში, ამანაც მიაყვირა თავის მშობლებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიხარიოდეთ! ეხლა მდიდრები ვართ და აღარა დაგვჯირდებაარა, აღარც მუშაობა მოგვინდება. შემდეგ მოუბრუნდა თავის ვირს და უთხრა:

— კარგო ვირო, აბა ერთი დაიუროიენ!—ვირმა ეურიც არ შეიბერტყა.

მაძამ უთხრა:

— ჩემო საწყალო შვილო, თუ ეს საცოდავი ჭირუტეკია შენი გამამდიდრებელი, გირჩევ ისევ შეუდეგ მუშაობას და ისე მოიპოვო შენი საზრდო.

ისიდორე დამორჩილდა თავის ბედს და შეუდგა მუშაობას.

III

ერთი წლის შემდეგ გაემგზავრა უმცროსი ძმა დავითი, რომელიც დაბადი იყო. ესეც იმავე გზით წავიდა, რა გზითაც მისი ძმები, იმავე ტყეში შევიდა, იგივე ბერიკაცი დახვდა, რომელმაც ამასაც მისცა სამუშაო. ესალაგაზდა სელოსანი ძალიან ეულმოდგინედ მუშაობდა რამდენსამე თვეს. ერთ დღეს ბერიკაცმა უთხრა:

— ძალიან კარგი, მშრომელი და პატიოსანი ბიჭი ხარ, მაგრამ უნდა გაეშორდეთ ერთმანეთს. ერთი კარგი საჩუქარიკი მინდა მოგცე, მაგრამ რა გამოვიდა, თუ შენც შენს ძმებსავით ვერ მოიხმარ. მაინც წაიღე აგერ ეს ტომარა, რომელშიაც ჯოხი ჩავდე. როდესაც დაგჭირდება, დაუუვირე:—შეუდეგ საქმეს, ჯოხო!—და ბევრ განსაცდელისაგან დაგიხსნის. ვიზედაც მეუთითებ, იმდენსა სცემს და იქამდე არ გაშორდება, სანამ არ ეტყვი:—ჩადი ისევ ტომარაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადმა მადლობა გადუხადა ჰატიოსანს ბერი-კაცს, გაუმგზავრა შინისკენ და მალე მოუხდა კიდეც გამოუცადა იმ საჩუქრის თვისება.

ერთ სადამოს შეგიდა იმავე სასტუმროში, საცა მისი ძმები ასე უსვინიდისოდ მოატეუეს. როდესაც ივახშმა, მიაბარა თავისი ტომარა სასტუმროს ჰატრონს და უთხრა:

— შენ გაბარებ ამ ტომარას და კარგ ადგილას შემინახე ფალამდის, უფრთხილდი-კი არ უთხრა:—შეუდეგ საქმეს, ჯოხო,—თორემ ამას ახირებული თვისება აქვს.

სასტუმროს ჰატრონი ძალიან ხარბი კაცი იუო და ეგონა, რომ ამ ჯოხსაც იგივე თვისება აქვს, როგორც დურგლის სტოლს და მეწისქვილეს ვირსო, და, როცა მარტო დარჩა, უთხრა:—შეუდეგ საქმეს, ჯოხო!

მაშინადგე გაიხსნა ტომარა, ჯოხი ამოვარდა, დატრიალდა და დაუწეო უწეალოდ ცემა საცა მოჭხვდა, ტანი სულ აუჭრელა და თავ-პირი მიამტვრია.

სასტუმროს ჰატრონი გაძწარებული დარბოდა ერთ ოთახიდამ მეორეში, რომ თავიდამ აეცდინა, მაგრამ ჯოხი უფრო და უფრო ურტეამდა და ურტეამდა.

— მიშველეთ! ქრისტიანები არა ხართ, მიშველეთ!—ეკიროდა საცოდავად ცემით დაოსებული სასტუმროს ჰატრონი.

ახალგაზდა ხელოსანი მივიდა ამ ეკირილზე და უთხრა:

— სწორედ მაგის ღირსი ხარ; ჩემს ერთ ძმას მოჭხვარე სტოლი, მეორეს ვირი და ამასაც მოიპარავდი, რომ შეგძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემიბრალე, შემიბრალე! — ეკიროდა გაძღარებული სასტუმროს პატრონი, — შემიბრალე, ესლაგე დაგიბრუნებ ყველაფერს, რაც შენს ძმებს მოეპარე, ოდონდაცა ამ ჯოხისაგან დამიხსენ.

დაეითმა აასრულა სასტუმროს პატრონის თხოვნა. ჯოხი ჩადო ტომარაში, წამოიღო სტოლი, ეირი გამოიღოლა და მხიარული მოვიდა შინ. ყველანი გახარებულნი მიეგებნენ, და ბედნიერად სცხოვრობდნენ სამთავე ძმანი ერთად.

ეჯ. მ—ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსია

(ზღაპარი)

(მიხეილ წულაძის გაგონილი გურიაში და აპოლონ წულაძის ჩაწერილი)

ყო ერთი დიდებული ხელმწიფე, ჰყავდა ერთი შვილი. ერთ დღეს ქალაქში ამ ხელმწიფის შვილმა ნახა სახით თავისი მსგავსი კაცი, წაიყვანა მამასთან და უთხრა:—ეს კაცი უსათოოდ უნდა იშვილო. რომ ჩემი ძმობილი გახდესო.

მამამაც შვილის სურვილი შეასრულა, ის უცხო კაცი იშვილა და სახელად დაარქვა „მსგავსია". მსგავსია ისე შეიყვარ-შეითვისა ხელმწიფემ, რომ თავის ღვიძლ შვილთან არ არჩევდა.

ერთ დღეს გავიდნენ სასეირნოდ ეს ორი ძმობილები; ზღვის პირას ნახეს, ჩამოფრინდა ზღვაზედ სამი იხვი. მსგავსიამ უთხრა ძმობილს:—შენ წადი და მე იხვებს დავიჭერო. მართლადაც მსგავსია მიეპარა იხვებს და ერთი დაიჭირა.

იხვი შეეხვეწა, გამიშვი, თორემ ინანებო, მაგრამ მსგავსიამ არ გაუშვა და შინ წამოიყვანა. შინ მიიყვანა თუ არა, იხვი მაშინვე მშვენიერ მზეთ-უნახავ ქალად იქცა. მსგავსიას ძლიერ გაუხარდა, მაგრამ ჩქარა დაღონდა და შეეშინდა,—ვაი თუ ხელმწიფემ გამიგოს და ქალი წამართვასო. დიღხანს მალა მსგავსიამ ქალი, მაგრამ ბოლოს მაინც გაიგო ხელმწიფემ, ქალი ნახა და მისი წართმევა მოინდომა, და რომ უფრო ადვილად ჩაეგდო ხელში ქალი, განიზრახა ჯერ მსგავსიას თავიდან მოშორება.

უბრძანა ვეზირებს, ისეთი ძნელი საქმე დაასაქმეთ მსგავსიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვერ გადურჩეს იმ საქმესაო. ვეზირებმა არჩიეს და ბოლოს უბრძანეს მსგავსიას თეთრი ტახის მოყვანა.

დაღონდა მსგავსია და ცოლს შეეხვეწა, მიშველე რამეო.

ცოლმა უთხრა:—ეხლა-კი გიშველი, მაგრამ მერე უფრო ძნელს რასმე დაგსაქმებენო, და მაშინ-კი ველარ გიშველიო. მერე მისცა ერთი კოლოფი და უთხრა: — წაიღე ეს ტყეში, ახადე და ყველა ცხოველები იქ შეგროვდებიანო.

მსგავსიაც ასე მოიქცა: მიიდა ტყეში, ახადა კოლოფს თავი და ყველა ცხოველები იქ შეიყარნენ და მათ შორის თეთრი ტახიც. მსგავსიამ დაიჭირა, წამოიყვანა და მიჰგვარა ხელმწიფეს.

ხელმწიფეს ძლიერ ეწყინა, რომ მსგავსია ცოცხალი დაბრუნდა და კიდევ უბრძანა ვეზირებს, უფრო ძნელი რამ დასაქმებინათ მსგავსიასთვის. ვეზირებმა იფიქრეს და მსგავსიას თეთრი ირემის მოყვანა უბრძანეს. მსგავსიამ ესეც შეასრულა.

ეხლა-კი მეტის-მეტად გაწყრა ხელმწიფე; უბრძანა ვეზირებს, — ერთი კიდევ დასაქმეთ რამე მსგავსიას და თუ კიდევ გადარჩა, თავებს დაგჭრით ყველასო.

დანაღვლიანდნენ ვეზირები, დიდხანს არჩიეს, ვერაფერი გადასწყვიტეს და დიდად დაღონდნენ. ესე დაღონებულნი ნახა ერთმა მთერალმა კაცმა და ლაყბობით უთხრა ვეზირებს, „არაფერის“ მოყვანა უბრძანეთო.

ვეზირებმა მართლა უბრძანეს მსგავსიას არაფერის მოყვანა. მსგავსიამ თავის მწუხარება ცოლს შესჩივლა. ცოლმაც მოუსმინა მწუხარებით და უთხრა: — ჩემი საშეალი და თუ გიშველის, თორემ მე არაფერი ვიცი.

მერე მისცა მსგავსიას ერთი ცხვირსახოცი, ერთი ბურთი წინ გაუგორა და უთხრა: აი ეს ბურთი მიგიყვანს შენ ჩემ დასთანო.

მსგავსიამ გამოსთხოვა ხელმწიფეს სამი წელიწადი ვადა და ხელმწიფემაც მისცა სამი წელიწადი ვადად. მსგავსია გაუდგა გზას. იგორა, იგორა ბურთმა და ერთ სასახლის წინ გაჩერდა. იქ ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათია მსგავსიამ. დილას რომ პირი დააბანიეს, მოსამსახურემ პირსახოცი დაგვეინა. მსგავსიამ ამოიღო ცოლის გამოტანებული ცხვირსახოცი და პირი იმით შეიმშრალა.

ცხვირსახოცი დაინახა ქალბატონმა, იცნო, რომ ამის დისა იყო, ძლიერ გაუხარდა, გადაეხვია თავის სიძეს და ჰკითხა,—რა გაგეჭირებიაო.

მსგავსიამც უამბო თავისი მწუხარება და შველა სთხოვა. იმან უთხრა:—მე კი ვერას გიშველი და იქნება ჩემმა უფროსმა დამ-კი გიშველოსო.

მისცა ერთი ბურთი და უთხრა:—აი ეს მიგიყვანს ჩემს უფროს დასთანაო.

მსგავსია გაუდგა გზას და როგორც იქნა მიაღწია თავის უფროს ცოლის-დასთან; იქაც ისე შეემთხვა, როგორც საშუალთან. უფროსსაც ძლიერ ესიამოვნა სიძის ნახვა და შველასაც დაჰპირდა.

მეორე დღეს მსგავსია გაიყვანა ერთ დიდ ტრიალ მინდორზედ და იქ დაუძახა ყველა ცხოველებს. ყველა ცხოველები შეიყარნენ; უფროსმა დამ ჰკითხა ყველას,—„არაფერი“ ხომ არ იცითო. იმათ უპასუხეს,—არაო! დაღონდა უფროსი და, და ის იყო გამობრუნებას აპირებდა, რომ ამ დროს ერთმა კოჭლმა ბაყაყმა („გომბიომ“) დაუძახა უკანიდგან:

— ქალბატონო! მეც მკითხეო.

— გკითხო, თორემ, შენმა სიცოცხლემ, კიდეც გეცოდინება! მიუგო ქალბატონმა.

— იქნება ვიცოდეო,—მოახსენა ბაყაყმა.

— აბა თუ იცი „არაფერი“, გვასწავლეო!

— ბატონი ბრძანდებიო,—უპასუხა ბაყაყმა, გამომყეთ და გაჩვენებთო.

მსგავსია წაჰყვა ბაყაყს. ბაყაყმა მიიყვანა ერთ ტყეში, შეიყვანა ერთ ცარიელ სახლში და უთხრა:—აი აქ არის „არაფერიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსია შეეიდა შიგ და ბუხარში დაიმალა. მალე შემოვიდა სახლში თორმეტი კაცი და ერთმა იმათგანმა დაიძახა: „არაფერო“!

— ბატონო! მოსმა ხმა.

— აბა ერთი თორმეტი კაცის კერძი ხელად!

უცბად შეიქნა ჭურჭლების რახუნი, სუფრა გაიშალა და ზედ დაეწყო რიგი და რიგი თორმეტი კაცის კერძი. ამ თორმეტმა კაცმა ისადილეს კარგად, შემდეგ გამოვიდნენ გარეთ და ისე წავიდნენ, რომ მადლობაც არ უთქვამთ.

მსგავსიამ გაადევნა თვალი და, როცა ისინი სახლს კარგა მოშორდნენ, დაიძახა: —„არაფერო“!

— ბატონო!

— ორი კაცის კერძი მოგვართვი!

მაშინადვე გაჩნდა სუფრაზე ორი კაცის კერძი.

— აბა ეხლა შენც მობძანდი და ორთავე ერთად შეეექცეთო! სთხოვა „არაფერს“ განცვიფრებულმა მსგავსიამ.

ამდენს ხანს უხილავი „არაფერი“ ეხლა ხილულად იქცა და გამოცხადდა სუფრაზე, მიესალმა მსგავსიას და უთხრა:

— ამდენი ხანია აქა ვარ, ბევრი კაცისთვის მიცია პატივი, მაგრამ არც ერთს მე არ მოვგონებივარ, შენს მეტს. შენ ვინ ხარ ეგეთი უცნაური?

მსგავსიამ უამბო თავისი ვინაობა და გაჭირვება და სთხოვა შეველა.

არაფერმა უთხრა,—შენ იმდენად მოიკე ჩემი გული შენის გულ-კეთილობით, რომ, რა გაეწყობა, წაგყევები შენს ხელმწიფესთან!

მსგავსიამ წამოიყვანა უხილავად არაფერი. გზაზედ დაუღამდათ და შეჰხვდათ ერთი ცულიანი კაცი. მსგავსიამ უთხრა: — რა ვქნათ, სად გავათიოთ ამაღამაო?

ცულიანმა კაცმა უთხრა: —ღამის გასათევ ადგილს-კი ვიშოვი, საჭმელი სად ვიშოვოთ თორემო!

მსგავსიამ უთხრა: —საჭმელს მე ვიშოვნი, სადგომი შენ იშოვეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცულიანმა კაცმა უბრძანა თავის ცულს სახლის აშენება. ცული მაშინვე დატრიალდა და ნახევარ საათში მშენიერი სახლი ააშენა.

მსგავსიამ უბძანა არაფერს ორი კაცის კერძი და მაშინვე გაჩნდა.

ცულიან კაცს ძლიერ მოეწონა არაფერი და უთხრა: — მოდი ცულში გამიცვალეო.

მსგავსიამ გაიყვანა ცალკე არაფერი და ჰკითხა,—რა ექნაო!

არაფერმა უთხრა, — რაშიც გინდოდეს გამცვალე, მე ისევ შენთან ვიქნებიო!

მსგავსიამ გაუცვალა არაფერი ცულში, მეორე დღეს წაიღო ცული და გზას გაუდგა.

შემოხვდა ერთი ჯოხიანი კაცი. მიესალმნენ ერთმანეთს და შემდეგ მსგავსია გაუმასპინძლდა არაფერის მოწყალეობით. ჯოხიან კაცს ძლიერ მოეწონა არაფერი და სთხოვა, ამ ჯოხში გამიცვალეო. როდესაც უბძანებ ამ ჯოხს, ის შეუძლიან, რომ რამდენი ჯარიც უნდა იყოს, ყველას თავებს დაუფხრეწსო.

მსგავსიამ გაუცვალა და გაუდგა გზას. იარა, იარა, და შეხვდა ერთს კაცს, რომელსაც ერთი ქისა ჰქონდა, რამდენსაც უბრძანებდა, იმდენ ჯარს გაჩენდა. ამ ქისიანმა რო ნახა არაფერის სასწაულთ-მოქმედება, გაუცვალა ქისა არაფერში.

გამოსწია მსგავსიამ და მოვიდა სასახლეში. ერთი დღე გადაცოლებული იყო და ხელმწიფე ემზადებოდა ჯვარის დასაწერად. მსგავსია ხელმწიფეს არ ჰნახვებია, სახლის ახლო ცულის შემწეობით ააშენა მშვენიერი სასახლე და მეორე დღეს დაჰპატიჟა ხელმწიფე თავის საცოლოთი და ამალით.

ხელმწიფეს მეტად გაუკვირდა ასე უეცრად სასახლის აგება და უფრო ის გაუკვირდა, რომ სახლი ცალიერი იყო, ერთი ვეჯიც არ ჩანდა შიგ.

მსგავსიამ უბძანა არაფერს და გაჩნდა ყოველივე აევჯი, მერე უბძანა სადილის მორთმევა. გაჩნდა სხვა-და-სხვა ფერი საჭმელები და სასმელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილის შემდეგ მსგავსიამ ამოიღო ქისა და გაჩნდა უთვალავი ჯარი თავის უფროსებით და საკრავებით. ხელმწიფე და მისი ამალა ძლიერ გაჰკვირდნენ, ხელმწიფის საკოლო კი ფეხზედ აღარ იდგა სიხარულით, მარტო იმან იცოდა, რომ ეს იყო მისი ქმარი მსგავსია.

მერე მსგავსიამ დაკეცა ქისა და ჯარის კაცნი ისევე შიგ ჩაიდნენ. შემდეგ მსგავსიამ უბძანა ჯოხს:

— დაერიე ყველას და თავი დაუფხრიწეო, გარდა ჩემის ცოლისაო.

ჯოხი დაერია ყველას და თავი გადუფხრიწა.

ამ რიგად ყველანი გასწყვიტა მსგავსიამ, დიდი მადლობა გადუხადა არაფერს და შინ გაისტუმრა.

ასე ამ რიგად მეფედ გახდა მსგავსია:

ორი-სამი ბია მქონდა,
ოთხი-ხუთი ბროწეული,—
ღმერთმა მრავალს წელს გაჰამოს
შენის ოფლით მოწეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი

(ქსანზე გაგონილი და ჩაწერილი გრ. ჯფშინაშვილისა.)

ენი ჰირიმე, გიორგი,
ილბალი დაგყეა თხისაო!...
ორშაბათ დილა გათენდა,
ციცა და ქარი ქრისაო...
ადე გიორგი, წაასხი
ფარა ე შენი თხისაო!...
თორმეტი მგელი შაყრილა,
ლაპარაკს იზმენ დიდსაო:
„ამას რო თხები დაუდის,
განა მუქთია ისაო!
საბალახე გამოვართვეთ
ამ ჩვენ ბასილაშვილსაო.
იმას რომ მურა ძაღლი ჰყავს,
ის ძალიანა ფრთხილსაო;
მხარ-ბეჭი ბუღას მიუგაეს,
ხმაცა აქეს ზარბაზნისაო;
ზოგმა წინ გავიტყუილოთ,
ზოგნი ჩაეუსხდეთ მზირსაო;
გავწიოთ და გამოვწიოთ,
ნუღარ დაეუშვებთ ძირსაო!“...
მურიაე, შენი ზიანი
ბრალია ჩემის ძმისაო!
ვეუბენ: მღვიმეს წაეასხათ
ფარა ე ჩვენი თხისაო;
იმან მე არ გამიგონა,
სხვაგან იშვერდა ცხვირსაო!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეხუთე

ეაო ანიკო! შენი სამდურავის წერილი მივიღე. მიწერები—თუ კი კოტეს სწერ ხოლმე სამეცნიერო ამბებს, მერადა ვარო? მტეუანს რა უთხრა, მე უფრო მიეკარსარო და სხვა...

ეს შენი წერილი ბევრჯელ გადავიკითხე და, რომ ვერა გავაწყე-რა, დადონებულმა ჩემს საყვარელ მასწავლებელს მივუტანე. მასწავლებელი მიუბრუნდა ოქვე მდგომ თავის ამხანაგს და სიხარულით უთხრა:

— ვერ წარმოიდგენ, რა სასიამოვნო ამბავი მესმის: ჩვენ ქართველ ქალებსაც გაუღვიძნიათ და ბუნების გაცნობას სცდილობენო.

მერე მომეალერსა:—ჩემო ილიკო, რამ დაგადონაო; გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმევაო, გა-ძიძეანა აივანზე და მითხრა:

— აბა გადაჭედე ამ მშვენიერ არე-მარესაო. აი ამ ცას, ქვეანას და ეოველივეს, რაც-კი ღმერთმა გააჩინა, ეველა ხილულს და უხილავს ერთი საზოგადო სახელი—ბ უ ნ ებ ა — ეწოდებაო.

ხოლო იმ სწავლას ანუ მეცნიერებას, რომელიც გა-
მოიკვლევს და შეისწავლებს ბუნებას და ბუნების კანონებს,—
ბუნების-მეტყველება ეწოდებაო.

მერე წამიყვანა თავის ბიბლიოთეკაში, მიმიწვია წიგ-
ნებით სავსე თაროსთან და მითხრა:—ე ზღვა-აუარებელ
წიგნებს ხომ ჭვედავო, ესენი სულ ბუნების-მეტყველების
წიგნებიაო. აი ე ქვემო-ძირის თაროზე რომ წითელ-უდიანი
წიგნები აწყვია, აქ სულ მიწა-წყლის და ჭაერის ამბები
სწერიაო. ამ შუათანა თაროზე, მწვანე უდიან წიგნებში,
რაც რამ დედა-მიწის ზურგზე მცენარეა, იმათი ცხოვრება
და ამბებია აწერილიო. ხოლო ზემოთა მესამე თაროზე,
ჭრელ უდიან წიგნებში, რაც რამ დედა-მიწაზე ცხოველია,
იმათი ცხოვრება და ამბებია მოხსენებულიო.

ბოლოს დაუმატა: ი სამეთო წერილიდგან ხომ გახ-
სოვსო, ღმერთმაც ასე გააჩინაო: ჯერ მიწა-წყალი და
ჭაერი, მერე მცენარეები, შემდეგ ცხოველები და ბოლოს
შექმნა ადამიანი, მისცა თავის სახიერება და გაჭვალა ამ
ყველა ქმნილების მეფეთა.

მე ვკითხე:—ე თაროთ-თარო წიგნების უდების ფერი,—
ძირს წითელი, შუა თაროზე მწვანე და ზემო თაროზე ჭრე-
ლი,—რას ნიშნავს-მეთქი?

ეგ იმას ნიშნავსო, რომ დასაწყისში დედა-მიწა მთლად
გამხვალი იყო და ცეცხლსავით წითლად გახურებული ელვა-
რებდაო. მერე ნელ-ნელა განელდა და გამოირკვა ყველა-
ფერი: წყალმა ცალკე ალაგი დაიჭირა, ხმელეთმა ცალკე
და ჭაერიც მათ გარს შემოერტყაო. როცა დედა-მიწას ზურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ გაუტივდა, მაშინ აღმოტენდნენ მტენარეები, შემდეგ გაჩნდენ ცხოველებიო.

ბოლოს მასწავლებელმა თაროდგან ერთი დიდი უდიანი წიგნი ჩამოიღო და გადამიშალა. წიგნი სულ ფერად-ფერადი სურათებით იყო სავსე, მე გულმა ფანტქალი დამიწყო. მასწავლებელი თან ფურცლავდა სურათებს და თან მიამბობდა:

— უნდა გითხრათ, რომ ადამ და ევას დროიდგან ადამიანი განუწყვეტელ ბიბა-ეკლეკაში არის და იბრძვის, რომ ბუნება კარგად გაიცნოს, შეისწავლოს, თავის ჯკუის ძალიერებით დაიმორჩილოს და გამოიყენოს მისი გულ-უყობა თავის საკეთილ-დღეოდაო.

მეცნიერ კაცების გამოკვლევით ბუნება სამ სამეფოდ განიყოფებაო: ცხოველები ერთად თავ-მოყრილნი ერთ სამეფოს შეადგენენო. მთელი ქვეყნის მტენარეები ცალკე სამეფოდ ითვლებაო, და ერთ ცალკე სამეფოსაც შეადგენენ ყველა უსულდგმულო საგნებიო, ესე იგი, მიწა, ჭაერი, წყალი, ქვა, კლდე, ლითონნი და სხვა.

ქართველებთან-კი ნურას უკაცრაოდ, და უწინდელი მეცნიერები უფრო ბერძნები იყვნენო და ამიტომაც თითქმის ყველა მეცნიერებას ბერძნული სახელი ეწოდებაო. მაგალითად იმ მეცნიერებას, რომელიც შეისწავებს ცხოველების აგებულებას და ცხოვრებას, ზოოლოგია ეწოდებაო.

აგრეთვე იმ მეცნიერებას, რომელიც მტენარეების აგებულებას და ცხოვრებას შეისწავებს, ბოტანიკა ეწოდებაო.

ბოლო იმ მეცნიერებას, რომელიც უსულდგმულო საგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს (მაგალითად მადნეულობას) შეისწავლებს—მინერალო-გია ეწოდებაო.

ეს ბერძნული სიტყვებია და მათი მნიშვნელობა კარ-გად დაისწავლე, რადგან ბუნების-მეტყველებაში ამ სახე-ლებს ხშირად შეხვდებიო.

აი ახლა გავშინჯოთ ეს სურათებიანი წიგნიო. თავში ცხოველთა სამეფო ანუ ზოოლოგია იწყებაო.

ვიშ! დაო ანიკო! რა არ ვნახე და რა სიამოვნებით დავსტკბი. მაიმუნებიდგან დაიწყო, მერე მოჭვეა ღამურა, ძღრბი, ლომი, დათვი, კურდღელი, ირემი, ცხენი, სპი-ლო და ვეშაპი—თევზები. ახლა დაიწყო ფრინველობა: სირაქლემა, მიმინო, მერცხალი, გუგული, ჩვენი მამალი და ინდი. მერე-კი სამაგალნი ქვემძრომნი მოჭვენენ: კუ, ხვლიკი, დაკლაკნული გველები, ბაყაყები.

ამ სამაგლების შემდგ-კი თვალი დასტკბა ყურებით—მოჭვენენ მეენიერი თევზები. ოევზებს მოჭვენენ მწე-რები: რწეილი-ყარია, ფუტკარი, კალია, აბრეშუმის ჭია, შემდეგ რადაც ლოკოკინები და ჭია-ღუა.

ეი! ის-კი დამავიწყდა! ჭრელი ჰეველები რომ ვნახე, ისეთ აღტაცებაში მოვედი, რომ მეტის-მეტმა სიამოვნებამ ზრდილობაც დამავიწყა და ორიოდ ჯერაც ტაშის კვრით შეეეცირე:—ვიშ! დედა, დედა! რა ლამაზები არიან-მეთქი!

მასწავლებელს გაეცინა: ზოგი მაშინ უეცრე, როცა ეგა-ვილებს ნახავო.

ე ზოოლოგია ხომ გავათავეთ, და ახლა იწყება მცე-ნარეთა სამეფო ანუ ბოტანიკაო. გადაშალა და რა გინდა, დაო ანიკო, რა მცენარეს იტყვის ენა და ჰირი, რომ იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მენახა: ხახვი, ჩადუნა, სოკოები, სამკურნალო ბალახები, მერე ევავილები, შესანიშნავი ხეები და სხვა და სხვა.

. ამ სამეფოს გადასინჯვა რომ გავათავეთ, მერე დაიწყო მადნეულთა სამეფო ანუ მინერალოგია, მაგრამ ასე ნახატით კი ძნელად მიხვდება კაცი რა-და-რა არის. თითონ მასწავლებელსაც-კი უძნელდებოდა. იყო დახატული ძვირფასი ქვები, თვალ-მარგალიტი, მერე ოქრო, ვერცხლი, გოგირდი, რკინა, კალა და სხვა-და-სხვა სასარგებლო ლითონნი, მხოლოდ ეგელა ეს ისე კი არ არის ნაჩვენები, როგორც ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ. აქ ნახატნი არიან იმ სახისა, რა სახესაც წარმოადგენენ მადნეულებიდგან ახლად მოთხრილნი ანუ ნაპოვნნი, ესე იგი, ბუნებრივი სახით არიან დახატულნი.

ამ წიგნის გადათვალიერებასაც რომ მოვრჩით, მასწავლებელმა მკითხა: — ე ხომ ეგელაფერი გიამბე და აბა ახლა მითხარ, რომელ სამეფოს ამბები მივწეროთ ანიკოსაო? რადგან ანიკო, რაც უნდა იყოს, ქალია, ვეონებ სჯობდეს მცენარეების ცხოვრება, ესე იგი, ეგავილების ამბები მივწეროთო. იმედია თავს არ მოვაწყენთ და იქნება მადლიერი დაგვრჩეს და ჩვენი წილი ხურჩხელებით მოგვიკითხოსო.

აი, ჩემო ანიკო, შენმა წერილმა რა ამბები დააწია. ამას იქით შენც მიიღებ, ჩემო საყვარელო დო, სამეცნიერო წერილებს (შუა თარიდგან) და აბა შენ იცი და შენმა ქალობამ, ვინძლო შენს სწორ-ამხანაგებსაც წაუკითხო ხოლმე და გააცნო ქვეყნიერების ამბები.

საკვესურად-კი ნუ ჩამომართქვე, დო, და, სწორე გითხრა, მას აქეთ, რაც გონების თვალი ცოტათი ამესილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ე ქვეყნიერობის ამბები ცოტათიც არის მაინც გავიცანი, ეველა ის ადამიანი საბრალოდ მიმაჩნია, ვინც არ იცის, რა არტეია მას გარშემო.

მაგალითად, აბა ვინ იფიქრებდა, დაო ანიკო, რომ მცენარეებსაც ისეთივე ცხოვრება ექმნებოდათ, როგორც მე და შენ. აბა როგორ წარმოიდგენდით, რომ ჩვენი ბოსტნის წიწმატიც ჩვენსავით ცხოვრობს, ესეიგი, იბადება (აღმოცენდება), იზრდება, თავისავე მსგავს წიწმატის გასამრავლებლად თესლს გვიტოვებს და მერე კვდება!?

მე ეხლავე ვიცი, დაო, რომ არ გჯერა. ჭო და აბა ამ ერთის წლის წინად ჩემთვისაც გეთქვა, რომ მცენარეც ისე ცოცხლობს, როგორც ჩვენო,—განა მე კი დავიჯერებდი, მაგრამ რაკი მასწავლებელმა ეოველივე დაწერილებით ამიხსნა, ახლა-კი ამისილდა თვალები.

რასაკვირველია, ადამიანს და მცენარეს შორის განსხვავება დიდია, მაგრამ რომ მცენარეებიც ცოცხლობენ, ამაში არავითარი ეჭვი არ არის. წარმოიდგინე, ანიკო, მცენარეებშიაც ჭამა-სმა ეოფილა, ჭიერსაც ჩვენსავით სუნთქავენ თურმე და ასე გასინჯე, ქორწინებაც-კი სცოდნიათ!

აი დიდება შენდა, ღმერთო! ე დალოცვილი სწავლა სადამდე მისულა, რომ ამდენი საიდუმლო ბუნებისა გამოუმჟღავნებია.

ასე, ორიოდე სიტყვით რასაკვირველია არას დამიჯერებ და შემდეგ წერილით ვეცდები დაწერილებით აგიხსნა მცენარეების ცხოვრება და კანონი.

მშვიდობით, ჩემო ანიკო! კოტე მომიკითხე და ბოდიში მომთხოვე,—ამ სულად-კი უკაცრავად, და შემდეგ თვეში-კი მოგწერ წერილს თქო.

დავშეები შენი მოსიყვარულე ძმა ილიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

ფრინველების ცხოვრებიდამ

ედილო, შენი ჭირიმე, შეხედე, რა ეშოვე! — იძახოდა გაბარებული ექვსის წლის ნუცა და თან, მეტის სიხარულისაგან, თვალებიდამ სულ ცეცხლი სცვიოდა.

— რა არის, შვილო, რა გიშოვია, აბა ერთი მაჩვენე?

ნუცამ ამოიყვანა კალთიდგან პატარა, ოდნავ შებუმბლული ჩიტის ბარტყი, რომელიც საცოდავად პირს აღებდა.

— უი, შვილო, ეგ რა გიქნია! ხომ მოკვდება... ჰხედავ, პირს როგორ აღებს!..

— არა, დედი, ჰშიან და პირს იმიტომ აღებს.

— იქნება ჰშიოდეს კიდეც...

— მაშ, დედიჯან, ეხლავე მოეურბეინებ საჭმელს და მაშინ ხომ აღარ მოკვდება?

— არა, შვილო, უდედოდ საჭმელს პირსაც არ მიაკარებს... სად გიშოვნია! ხომ ცოდოა, არ გებრალებოდა, დედას რომ ართმევდი?

— დედილოჯან, ღმერთმანი, მე არა, დათამ აი ღობეში იპოვა ბუდე და იქიდგან ამოიყვანა.

— წადი, შვილო, ეხლავე და ისევ ბუდეში ჩასვი... ვინ იცის, საწყალ დედას ეხლა რა ამბავი აქვს. დათასაც უთხარი, ეხლავე აქ მოვიდეს.

ნუცა დაღონებული გავიდა სახლიდგან. მალე უკანვე დაბრუნდა, და დათაც თან შემოჰყვა.

— შვილო! — მიუბრუნდა დედა ახლა დათას, — რამდენჯერ მითქვამს, რომ კარგი არ არის საბრალო ჩიტების ტანჯვა. იქნება, გვო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია, რომ ჩიტებს, რაკი ჩვენსაკით ენა არა აქვთ, ჩვენსაკით ტირილი და ჩივილი არ შეუძლიანთ, არც გული აქვთ და არც შვილების სიყვარული იციან? არა, შვილო, ჩიტები და საზოგადოდ ფრინველები ძალიან ჯიგრიანები არიან, ძალიან უყვართ თავიანთ შვილები და ძალიანაც დაეწვებათ ხოლმე გული, როცა შვილებს შეუბრალებლად სტაცებენ ან უხოცავენ, მაგრამ ჩვენებურად არ იციან ლაპარაკი, რომ თავიანთ დარდი და ნაღველი შეგვატყობინონ.

რამდენჯერ დავაპირე, მეამბნა თქვენთვის ფრინველების დედა-შვილურ სიყვარულზე, და სულ ვერ ვიცლიდი. ეხლა კი დრო ჩამოვარდა ხელში, და აბა ყური დამიგდეთ, რას გიამბობთ.

* * *

ქათამს ხომ ყოველ დღე ჰხედავთ. შეხედეთ კრუხს, წიწილებს რომ გამოასხავს ხოლმე, როგორ უელის, როგორ დასტრიალებს თავს, როგორ თავ-განწირვით დაჰკურკურებს თავის პაწიებს. რაც უნდა მძლავრი მტერი მიესიოს, ზედ შეაკვდება და ცოცხალი თავით-კი არც ერთს თავის ფუნჩულა წიწილას არ ჩაუკდებს მტერს ხელში...

— სწორედ თქვი, დათა, შენთვისაც რამდენჯერ შემოუტეევია გაანჩხლებულს კრუხს და სულ კუდით ქვა უსროლინებია. შენ ხომ მამაცი ხარ მხოლოდ მაშინ, როცა, აი უღონო ჩიტებს ბუდიდამ ბარტყებს ამოაცლი ხოლმე!....

* * *

აი კიდევ ერთს მტრედზე რას ამბობენ. სახლს, სადაც ამ მტრედს ბუდე ჰქონდა, ცეცხლი გაუჩნდა. ამ სახლში მცხოვრებთ საშინელი ყვირილი და ვაი-ვაგლახი შეუდგთ, ყველა ცდილობდა, თავი როგორმე გადაერჩინა. ამ ყვირილზე მტრედიც გამოფრინდა თავის ბუდიდამ, მიტრიალ - მოტრიალდა, კარგად დაინახა, რა ამბავიც იყო, მაგრამ თავის პატარა შვილების სიყვარულმა დასძლია და ისევ ბუდეში დაბრუნდა: მარტოდ თავის გადარჩენას ისევ შვილებთან ერთად ცეცხლში დაწვა არჩია.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავი ხომ აბა ყველასაგან მოძულებულია და იმის ჩხავილიც ხომ ბევრჯელ გაგიგონიათ; არაფერი სირინოზის ხმა აქვს და ამ-ტომაც ასე ყველასა სძულს ყვავის ჩხავილი. აბა ახლა ნახეთ,—ამ უშნო და ულაზათო შავს ყრანტს როგორ უყვარს თავის შვილები. ჩვენში დაიცინებიან კიდეც—,,ყვავსაც თავის ბახალა მოსწონსო'', მაგრამ აბა ყური დამიგდეთ, ერთს პატარა ამბავს გეტყვით, და იქ-ნება ყვავის დედა-შვილურს სიყვარულს აღარ დასცინოთ.

ინგლისში ერთს ქალაქს ახლო ბებერ მუხასა სჭრიდნენ ძირია-ნად. მუხას დიდი და ხშირი ტოტები ჰქონდა და ტოტებში არა ჩანდა რა. მხოლოდ როდესაც ბებერი მუხა წამოაქცივეს, მაშინ დაინახეს ტოტებში ყვავის ბუდე და აქვე დედა-ყვავი და ყვავის ბახალები, რასაკვირველია, დახოცილები: მუხა რომ დაეცა, ტოტებს ქვეშ მოე-ყოლებინა და დაეხოცნა. განა დედა-ყვავს არ ესმოდა ცულისა და ხალხის ხმაურობა? განა არ შეეძლო დროზე გაფრენა და თავის გა-დარჩენა? მაგრამ არა,—ისევ თავის შავ ბახალებთან ერთად სიკვდი-ლი არჩია უამათოდ სიცოცხლეს...

*
* *

წყალ-წყალა ჩიტი ხომ იცით, ზოგნი მეტს სახელს იორღასაც რომ ეძახიან. საწყალი, ბეჩავი რამ ფრინველია! არც დიდი ჭკუის პატრონი ბძანდება. აიღებს თავს და საცა მოჰხედება, გაიკეთებს ბუ-დეს, იმას კი აღარ კითხულობს, მომიხდება ეს ადგილი თუ არაო. თანაც საშინელი მხდალი, მშიშარაც არის! მაგრამ თუ საქმე შვი-ლებზე მიდგა, თუ შვილებს რაიმე განსაცდელი მოელით,—მაშინ ისეთს გულადობას, თავ-განწირულს სიმამაცეს იჩენს, რომ ღმერთმა შეარცხვინოს თვით გულადი, თავ-გამოდებული ეაჟ-კაცი...

ერთხელ ამ ბეჩავს ბუდე გაეკეთებინა კედელში, სადაც ჯარის-კაცებს მიზანში თოფის სროლას ასწავლიდნენ. ყოველ დღე თოფების განუ-წყვეტელი გრიალი იდგა, კედელი იძროდა ამოდენა თოფის სროლი-საგან, წყალ-წყალა ჩიტი-კი თავ-განწირულად იჯდა თავის ბუდეზე და ყურსაც არ იბერტყდა. მანამ ბარტყები არ გამოჩიკა, არ დაზარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ეაი-ეაგლახში და არ დააფრინა, მანამ ფეხი არ მოიცალა ამ საშინელ ადგილიდგან.

***

მერცხლების ამბავი გითხრათ უფრო კიდევ კარგი! ინდოეთში დედალ-მამალმა მერცხალმა ბუდე გაიკეთეს ერთ გემზე. მერცხლები, რასაკვირველია, სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხელს არავინ შეუშლიდათ, ბარტყებს გამოიყვანდნენ, დაზრდიდნენ და დააფრენდნენ.

აკი ამათ ბედზე საქმე ისე დატრიალდა, რომ ეს გემი აქედამ სხვაგან გაგზავნეს. მერცხლებს ჯერ ისევ ახლად გამოჩეკილი ბარტყები ჰყოლდათ და ამ ამბავმა დიდად დაალონა და დააძმარა საბრალო მშობლები.

რა ექნათ საწყლებს? გაჰყოლოდნენ გემს,—ზღვაში რას იშოვნიდნენ, და თითონაც და შვილებიც ხომ შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ. არა და,—აბა მშობლის ღვიძილი როგორ გასძლებდა, პაწია, უღონო შვილები უპატრონოდ დაეტოვებინათ.

ისევ შვილებთან შიმშილი და ზღვაში დაღუპვა ირჩიეს და გემს თან გაჰყვნენ. გზაში მალე შეამჩნიეს გემში მსხდომთა ეს საოცარი ფრინველები და საქმელს არ აკლებდნენ. ამ გვარად, ადამიანის მოწყალებით გამოკვებეს თავიანთ შვილები და მანამ გემი ისევ ინდოეთში არ დაბრუნდა, მერცხლებს თავი არ დაუნებებიათ და მუდამ ჭიკჭიკით ამკობდნენ გულ-კეთილ მოწყალეებს, თითქოს ამითი მადლობას უხდიდნენ სიკეთისთვის.

***

რაღა შორს მივდივარ, აი ჩვენი ბელურა-ჩიტის, ჭიეჭავის, ამბავი მკითხოთ! ეს კუდიანი ხომ დიდი რამ გაიძვერა და ეშმაკია და თითქოს გულ-ქვეიცაო.

— იქნება, დათა, იმიტომაც გეჯავრება და ბუდესაც იმიტომ დაუშლი ხოლმე? არა, შვილო, ეშმაკია, მაგრამ რა ქნას, თითონ იმის ბრალი ხომ არ არის, ძალად აეშმაკებენ. საწყალი ადამიანს შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკედლებია, ამას შეჰყურებს ხელში, და ადამიანს-კი ერთი მარცვალიც ენანება ამ უბედურისთვის. რა ქნას საწყალმა, რომ აეკაცობა არ დაიწყოს. აი ესეც გასულა შარა-გზაზე და, გავარდნილი ყაჩაღსავით, რასაც მოახელებს, ხელიდგან არ უშვებს...

ასე აქვს საბრალოს სახელი გატეხილი, თორემ სად ჭიეკაეი და სად ყაჩაღობა: ერთ მარცვალს გზაზე იპოვნის და აჰკენკავს, ერთ-ორ მარცვალს ძნიდამ მოიპარავს, ბაღში კიდევ ბალს ან თუთას ნისკარტს გაჰკრავს და პირს ჩაიმტკბანურებს, – მორჩა და გათავდა, ეს არის ამისი აეკაცობა და ყაჩაღობა!...

ამას-კი ყველა ჰხედავს და იმას-კი აღარავინ კითხულობს, რომ ეს ყველასგან აბუჩად აგდებულნი ბელურა ჩიტები აუარებელს ჭიალუას და მწერს ჰხო�sვენ, და შენი მტერი, რომ ეს ბელურები არა გეშველოდნენ: – თითო-ოროლა მარცვალი-კი არა, იქნება მთელი ბაღები და ყანებიც სრულიად ამოეკლოთ...

ახლა ნახეთ, ამ ყველასაგან მოძულებულს, გულ-ქავს ბელურას როგორ უყვარს თავისი შვილები. კარგად მომგონდა კიდეც ერთი ამბავი, რომელიც დიდი ხანია სადღაც წამიკითხავს.

ერთს ინგლისელს მღვდელს ძლიერ უყვარდა თურმე ჩიტების შენახვა და მოვლა. და აი ერთხელ ბუდიდგან ამოიყვანა ბელურა ჩიტის ბარტყები, ჩასხა გალიაში და შინ წამოიყვანა. საბრალო მშობლები ზედ დაედნენ ამ მღვდელს და ისეთი ყიეილ-ხიეილი, ისეთი ამბავი შეუდგათ თურმე, რომ გეკონებოდთ მიცვალებულსა ტირიან და გლოვის ზარი დგსო.

მღვდელს შეეცოდა საწყალი ჩიტები და გალია გარედ გამოჰკიდა. თან საჭმელიც დაუყარა და გალიის კარი ღია დაადგდო. აშფოთებული მშობლები ცოტად დამშვიდდნენ და მაშინდაეე გალიაში შეფრინდნენ თავიანთ შვილებთან, თუმცა, როგორც იცით, ეშმაკი ბელურა ძალიან ფრთხილია და სხვა დროს ასე ადვილად შესვლას არ გაჰბედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დღეს შემდეგ დედ-მამა თავიანთ ბარტყებს აღარ მოჰშორებია, უზიდავდნენ საჭმელს დაუღალავად და სიყვარულით უელიდნენ თავიანთ პაწიებს.

თუმცა მღვდელი ხელს უწყობდა, საჭმელს არ აკლებდა, მაგრამ საწყალ ბელურებს მაინც გული ვერ დაემშვიდებინათ, მანამ შვილები ამ გალიაში ძსხდნენ. და უნდა გენახათ თურმე ამათი სიხარული, როდესაც ბარტყები იმოდენად მოიზარდნენ, მოჩიტდნენ, რომ ფრენა შეეძლოთ! როდესაც მშობლებმა რის ვაი-ვაგლახით და ტანჯვით გააბედვინეს ბარტყებს გალიიდგან გაფრენა და ყველანი ერთად დასხდნენ ლობეზე, მოგროვდნენ სხვა ბელურებიც და ერთი ისეთი ჭრიამული შეუდგათ, რომ გეგონებოდათ, ბედნიერ მშობლებს ულოცავენ შვილების დაბრუნებასაო...

— აბა, შვილო, ცოდვა არ იყო, რომ წელან პაწია უსუსური ბარტყი ბუდიდამ ამოგეყვანა და მშობლებ.ისთვის მოგეშორებინა?!...

— დედილოჯან, კიდეე გვიამბე რამე!... პასუხად ამის მეტი ვერა მოახერხა-რა შერცხვენილმა დათამ.

— ეხლა საქმე მაქვს, შვილო, და სხვა დროისთვის დარჩეს. მოცლილ დროს ჩავიგდებთ და გიამბობთ რასმე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა აბიბოს ნეკრესელი

წინდელი ქალაქი ნეკრესი ესლა ნანგრევებსდა წარმოადგენს სოფელ ეგარლის ახლო, კახეთში. ქალაქი ნეკრესი აუშენებია ქართველთ მეფეს ფარნაჯომს თითქმის ორიათას წლის წინეთ. ბევრი ვაება გამოუვლია ამ წმინდა ალაგს!...

ბევრჯელ შეუმუსრავთ ურჯულოებს აქაურობა და აქაურებისთვის მამა-პაპის სარწმუნოებაზე ხელი აუღებინებიათ. მაგრამ საქართველოს მეფეებსაც მხნეობა არ დაუკლიათ და სახელოვანად მქადაგებელი ეპისკოპოზები ჭეოლიათ ყოველთვის აქ.

ამ ასი წლის წინედაც აქ მეფე ერეკლესაგან იყო დანიშნული ეპისკოპოზად გამოჩენილი მქადაგებელი ამბროსი, რომელსაც სამაგალითო სოლაცა ჭქონდა აქ გამართული.

პირველი-კი ეპისკოპოზად ყოფილა აქ ღირსი მამა აბიბოსი, მოწამე იოანე ზედამნელისა. ამ წმინდა აბიბოსს დაუარსებია აქ მშვენიერი მონასტერი და უმოძღვრნია ხალხისთვის დიდებულ ვახტანგ გორგასლანის შვილების დროს.

გორგასლანის შვილებმა ისეთი მხნეობა ვერ გამოიჩინეს მეფობაში, როგორათაც იმათმა გმირმა მამამ; ამიტომაც იმათ დროს საქართველოს სპარსები შემოესივნენ, ქრისტიანობას ბევნა დაუწყეს, ეკლესიების მაგიერ ბევრგან გამართეს ქურები და იქ დანთებულ ცეცხლის თაყვანისცემას ასწავლიდნენ და აძალადებდნენ ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთშიაც ბევრმა დაიგიწყა ქრისტე და მოჰკვეა ცეცხლის თაყვანისცემას. ამის მნახველი აბიბოსი მეტად შეწუხდა და დაიწყო მხურვალე ქადაგება. ერთ დღეს ნეკრესის ახლო ანთებულ ქურას სახალხოდ წყალი დასხა და გაუქრო სპარსებს ღმერთი, ესე იგი, ცეცხლი. აბარაზებულმა სპარსებმა ღირსი მამა ეპისკოპოსი შეჰკრეს და თავიანთ უფროსთან წაიყვანეს.

ამათი უფროსი მარზაპანი მცხეთას ზემოდ ერთ ქალაქში იყო ჩამომხდარი. გზაზე აბიბოსი შეეხვეწა აარაუ-ლებს, შიო მდვიმელთან მიმიყვანეთო. შიომ იცოდა, რომ სპარსებს ცოცხალი აღარ გადურჩებოდათ ღირსი ეპისკოპოსი და გაამხნევა.

მარზაპანთან მიყვანილ აბიბოსს დიდ მალი სამღვდელოება და ქართველი ხალხი შემოესვია. მარზაპანმა ამაუად ჰკითხა:

— რად მოჰკალ ჩვენი ღმერთიო?!

წმინდა აბიბოს ნეკრესელმა ამაზედ წუნარად უპასუხა, რომ ცეცხლი ღმერთი არ იყოფო.

ამის გამგონე უფროსმა წმინდანი ქვებით ჩააქოლვინა თავის ხალხს. წმინდანის უშიშარმა და მტკიცე საუბარმა ქართველები დიდად გაამხნევა, ნაწვალები გვამი წმინდანისა მოიპარეს და დიდის დიდებით მცხეთაში დასაფლავეს. დღეს იმის საფლავს მცხეთის ეკკლესიის ტრაპეზი ადგია.

ნეკრესშიაც იმისაგან დაწუობილმა მონასტერმა და საქმემ ჩვენამდის მოაღწია. ამიტომაც ქართველები და მეტადრე კახელები დიდის დიდებით დღესასწაულობენ იმის დღეობას, რომელიც ოცდა-ცხრას გიორგობისთვეს მოდის.

შ. გულისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოვი

(ლასსარული*)

ერთსულ ეზოში და თავისი ბატონი, ქსანტი, გზად მიდიოდნენ, ფილოსოფოსმა ბევრ ნანგრევებზე წარწერები შენიშნა და დაიწყო მათი კითხვა. ერთი წარწერისა რაღაც წინადადების მიმდევი ასოები იყო მსოფლოდ და ვერა გაიგო-რა. ძალა-უნებურად უნდა გაბოსტეზოდა თავის მონას.

— მე რომ მაგ ასოების შემწეობით ხსნანი გაბოგინინო, რით დამაჯილდოვებო?—ჰკითხა ეზოში ბატონს.

ხსნანის ხსენებაზე ქსანტს გაძალიდრების ეზოში გაურბინა თავში და უთხრა ეზოს:

— თავისუფლებას მოგანიჭებ და ნაბოვნის ნახევარს მოგცემო.

— ეს ასოები მოტეკიცხრობენ, რომ ჩვენს ოქროს, ხუთ ნაბიჯზე ხაზინაა დაფლულიო.

ამოთხარეს ის ადგილი, სადაც ეზოში უჩვენა, და მართლა ხაზინა კი ამოვიდა. ეზოში დაბერებულის შესრულებას მოელოდა; მაგრამ ქსანტმა ფეხებში ბორკილი შეუკრა ხელებ ეზოს და ციხეში შეაყენა, რომ სიკვდილი არ გაეცა.

— ბერინო მართლო!—შეჰკივარა უსამართლოდ ტანჯულმა ეზოში: — ეი როგორ ასრულებენ დაფლასოფოსნი თავიანთ სიტყვას! მაგრამ ერა უშავს რა! მოგა დრო, როდესაც მეტი ღონე არ ექნება, უნდა გასანთავისუფლოს!

ეზოშის წინასწარმეტყველება ძალე ასრულდა.

ამ ადგილას, სადაც ეზოში და ქსანტი ცხოვრობდნენ, ერთი ასრეული ციმბი მოსდა. ეზოშეს ძოიტანა ხსენებული ბეჭედი, აიტანა ძალდა,

*) ბალე I №-ში 1891 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოუვარდა იქიდგან და ერთ მონას დაეცა წამოსასხმაზე. სალმამ ქსანტს მიჭვირთა, როგორც ფიდოსოფოსს, და სთხოვა ამ ამბავის ახსნა. ფიდოსოფოსმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა და მიჭვირთა ისევ თავის დაპატიმრებული მონა, ეზოპს.

— მე თვითონ გამიგია სალმათან მაგის ახსნილადა,—უთხრა ეზოპმა:—თუ კარგად ვგსხენი, ქვა და ბიდაა შენი იყოს, რადგან, მე შენი მონა ვარ, და თუ შეეცდი, სიმტკიცი მარტო ჩემი იყოს.

დასთანხმდა ქსანტი და გამოიყვანა ეზოპი სასალმოდ. დაინახა თუ არა სალმამ ეზოპი, ასტკივა სიცილი და ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— განა ამ მასინჯისაკენ კარგს რასმე უნდა მოველოდდეთ?

— სასმელის დიოსება განა ბერწეულზეა დამოკიდებული?—უთხრა ეზოპმა სალმა:—ჯერ იცემეთ სასმელი და მერე ამაგეთ.

ამ სიტყვების გამგონი სალმა გაჩუმდა და სთხოვა ეზოპს, მოუფიდებლად ეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა.

— მე თავისუფლად დაბარაკი არ შემიძლიან, რადგან პატრონის სელში კარ: თუ შეეცდი, ხომ დამსჯიან, თუ პატრონზე ბეკეანი გამოვიდეგ, და მაშინაც მიანც მომსვდება.

სალმამ ეზოპის განთავისუფლება მოსთხოვა ქსანტს; ფიდოსოფოსი დიდხანს არა სთანხმდებოდა, მაგრამ რაკი ქალაქის უფროსი დაეშეერა, რომ ძალად გაგანთავისუფლებ, თუ შენ შენის ნებით არ გინდა, მისცა სრული თავისუფლება. გახარებულმა ეზოპმა დაიწყო:

— არწივი ნაშენავს უცხო ქვეყნის მეფეს, რომელსაც უნდა ჩვენი კუნძულის დაპყრობა; მონის წამოასასხმაზე დაცემული ბეწედი კიდევ სალმის დამონებას მოასწავებსო.

გაიარა ტოტა ხანმა. მოადგა ამ ქალაქს ერთი მეფე, სასწელად კრეზი, და შემოუთვალა მცხოვრებლებს: ოქვენი ნებით დამმორჩილდით, თორემ გაგანადგურებთო. მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ ჩვენის ნებით დაემორჩილდეთო; მაგრამ ეზოპი სასალხოდ გამოვიდა და დაიწყო.

— განგებამ ცხოვრებაში ორი გზა მოგვცა: გზა თავისუფლებისა, რომელიც პირველად გაუგია და ეკლინია, მერე სასიამოვნო და სწორე; მეორე—მონებისა, რომელიც პირველად სწორეა, მერე-კი ძალიან მძიმე და ჯუტანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოპის გაოგრესილებამ ისეთი ნაირად იმოქმედა სალხზე რომ მოცი-ქულები უარით გაისტუმრეს.

კრეზი ეურეული ეარით წამოვიდა ქალაქზე. გაგზავნილმა მოციქულებმა უთხრეს კრეზს, რომ ქალაქს ვერას ვეზიმთ იმ დროიდე, მანამ იმათში იმოდგება ეზოპი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სალხზეო

კრეზმა შეეთვალა ქალაქის მცხოვრებლებს: თავს დაგანებებთ იმ პირობითო, თუ ეზოპს გამომგზავნით. მცხოვრენი დასთანხმდნენ და დაუპირეს კრეზთან ეზოპის გაგზავნა; მაგრამ ეზოპი სსკა ნაირად მოიქცა და ერთი იკვი უთხრა სალხს:

— მგლებმა შემდეგი პირობა მასცეს ერთხელ ცხვრებს: „ძალდაბი მოიშორეთ თავიდგან და მეგობრეულად ვიცხოვრეთოთ“. დადის სიამოვნებით დ სთანხმდნენ ცხვრები და დაიოხოვეს ძაღლები. მგლებსაც ეს უნდოდა,— მიჭ�ენ და უპატრონო ცხვრები სრულებით გადაყლაპეს

ამ იკვამ ისე იმოქმედა სალხზე, რომ გარდასწყვიტეს, არ გაეგზ ვნათ ეზოპი კრეზისთვის, თუმცა ეზოპმა თავის ნებით ისურვა წასვლა და დაარწმუნა სალხი, რომ წასვლით უფრო სარგებლობას მოგიტანთ, ვიდრე ენებასთ.

კრეზმა რომ დაინახა ეზოპი, გაჭკვირდა და განრისხებულმა შეჰკვირა:

— ნუ თუ ეს მანანჯი უნდა იყოს სელის შემშველი და ჩემის ძალის, ძალიერების შემხუთველი.

ეზოპი დაეცა განრისხებულ მეფის წინაშე და შემდეგი იკვი უთხრა:

— ერთი კაცი კალიასა სწყვეტდა თავის მანდარშიჯ ამისობაში აკვი ერთი ბრიჯნანაც დაიჭირა და მოგვლა დაუპირა. „რა დაგიშავე?—შეეკითხა ბრიჯნინა: — „ღმერთმა ხომ იცის, რომ ბეგრს არ კისდენ და სხვა რა ენება შემიძლიან; ღმერთს ჩემთვის ხმის მეტი არა მოუცია რა და ამა სმაი კი ვის რას ვაწყენ?!“.. დიდებულო მეფეო! მეც ამ ბრიჯნანასა ვეკეკრ: მე მაქვს მხოლოდ ხმა, რომელიც თავის დეკეში არ მისმინონა შენი დიდებულების წინააღმდეგ!

კრეზი განცვიფრებული უგდებდა ეურს ეზოპს და არაფერ თუ თვით ეზოპი არ დასჯა, ამის გულისთვის ქალაქსაც თავი დაანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

კნეზეის სასასმელში ყოფნის დროს ეზოპმა დასწერა იგვე-ორაკული და მაარწოვა მეფეს; მაგრე დაბრუნდა თავის ქვეყანაში, სადაც დიდის პატივით იყო მიღებული. შემდეგ იმოგზაურა სხვა-და-სხვა სასელმწიფოებში, სადაც ბასსობდა ფილოსოფოსებთან და მეცნიერებთან. ბოლოს მივიდა ბაბილონში, სადაც დიდის პატივით აქმნა მიღებული ბაბილონის მეფისაგან.

ᲬᲘᲜ მეფეები გამოცანეებს ეუბნებოდნენ სოლმე ერთმანეთს და დიდ სანაძღეოსაც იგებდა გამომცნობი. ბაბილონის მეფემ ეზოპის წაყლობით ბევრი სანაძღეო მოიგო და გაითქვა სახელი, როგორც გამოცანების ახსნაში, ისე შეთხზვაში.

ბაბილონში ეზოპმა ცოლი შეირთო და, რაგვარ შვილი არ ეყოლა, იშვილა ერთი გამოჩენილ გვარის ახალგაზდა კაცი, სახელად ენნი, რომელმაც გულკეთილ ეზოპს სიკეთე სიავკაცით გადუხადა.

ENNIმ შავდგინა ტყუილი წერილი, ვითომ ეზოპს მიწერ-მოწერა აქვს იმ მეფეებთან, რომელნიც გამოცანეებს აძლევენ ბაბილონის მეფესო, და შემწეობას აძლევს, რომ მეფე დაამარცხონო. დასედ თუ არა მეფემ წერილს, მოუწოდა კარის კაცებსა უფროსს და გამოუძებნიეთ ეზოპის სიკვდილით დასჯა უბრძანა.

უფროსი დიდი მეგობარი იყო ეზოპისა და ამისათვის დამალა იგი ერთ გამოქვაბულში და ასამელ-ასუმელს არ აკლებდა. მთელ ქვეყანას მოელო ეზოპის სიკვდილის ამბავი, ისარგებლა ამით ეგვიპტის მეფემ და ბაბილონის მეფეს შეუთვალა გამოცანა იმ იმედით, რომ ესდა კი ვაჯობებო.

ი რა გამოცანა იყო: ბაბილონის მეფეს უნდა გაეგზავნა ეგვიპტის მეფისათვის ხუროთ-მოძღვარი, რომელსაც ჭაერში კოშკის აშენება შესძლებდა, და კოველგვარ გამოცანას ამხსნელი ბრძენი.

წაიკითხა ეგვიპტის მეფემ წერილი და ძალიან შესწუხდა. დაიბარა მთელი სასელმწიფოს მეცნიერნი და ბრძენნი, უთხრა გამოცანა, მაგრამ ახსნა ვერავინ შესძლო.

შეატყო კარის-კაცთა უფროსმა, რომ მეფე ძალიანა სწუხდა ეზოპის დაკარგვას, და მოახსენა: თქვენი ბრძანების წინააღმდეგ მოვიქეცი და ეზოპი სიკვდილს გადავრჩინეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გაუსარდა მეფეს ეს ამბავი და უბრძანა, ეზოპი მოეყვანათ.

მიიყვანეს ეზოპი მეფესთან. ეზოპმა დაუმტკიცა მეფეს თავისი უბრალობა, შემდეგ წაიკითხა ეგვიპტის მეფის წერილი და მოახსენა: შეუთვალეთ მეფეს, რომ ეზოპმა ეს ერთიც იქნება და მეორეც.

ეზოპს დაუბრუნეს წარმოუდგენელი ქონება და სელთ მისცეს უმადური ენნი, რომელიც მამაშვილურის სიყვარულით მიიღო ეზოპმა და შემდეგი დარიგება მისცა: იყავ პატიგის-მცემელი ღერთებისა და მეფისა, მეგობარი მამულის მტრისა, კეთილ-მოყვარე და მოწყალე ყველასი; იდაბარავე ტოტა, ერთდ ეწორს; სულით არ დაეცე გაწირებაში, მხნედ იშრომე და იხრენე მომავალზედ, იმისთვის, რომ უმეობესია კაცმა მტერი გასხოროს თავის სიკეთიდან შემდეგ, მინამ სიცოცხლეში გასლარობოს და შეაწუხოს მოკეთე და მახლობელი; ნუ შეგშურდება სხვისი ბედნიერება, რადგანაც შურიანი კაცი ტუდი მსაჯულია თავის-თავისა.

***

დაეუბრუნდეთ ისევ ეგვიპტის მეფისაგან გამოგზავნილ გამოცანას. ეზოპმა დაიწერა ანწოვის რამდენიმე ბასდა და ასწავლა ჭკვრში ანანა ისეთის კალთისა, რომ შიგ ემაწვიდი ჩატეულიეო, და გაეგზავნა ეგვიპტეში კალთეაით, ანწოვებით და ემაწვიდებით.

ეგვიპტის მეფე ეზოპის დანაბარზე ძალიან გაჭკვირდა,—რადგან მეგდარი ეგონა,—და მაინც ჭკვითს დაეინვით:

— ჭკვრში კოშის ამშენებელი ხეროთ-მოძღვარი და ეოველ სკვითსკვეზედ ბასეხის მომტები კაცი ხომ არ მოიყვანეო?

—ყველა სკვითსკვეზედ ბასეხის მოტეი თქვენი დიდებულების წინაშე სდგას,—მოახსენა ეზოპმა,—ხეროთ-მოძღვარი კი დაგვიდებათ იქ, სადაც კოშის აშენებას უბრძანებთო.

ისევ მეფემ კარის-კაცნი, ეზოპი და ბაეიდა მინდგრად. ეზოპმა მისცა ანწოვების კალთები, შიგ ემაწვიდები ჩასხა და ბაეშკ; ავიდნენ ანწოვები ძალიან მაღლა; ემაწვიდებმა დაიწყეს ეეირიდი და კოშის ასაშენებელი მასალის თხოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, დიდებულო მეფეო, ის ხუროთ-მოძღვარნი, რომელთაც ოსტატობდით! უბოძეთ ძასლა, რომ კოშკი აშენან ჭაურში.

დამრცხებულად ალიარა მეფემ თავი, მაგრამ მაინც რამდენიმე ეამოცანა კიდევ უთხრა ეზოს.

— მე მეკუთხე რამდენიმე ჭკვა ცხენია,—უთხრა მეფემ,—რომელნიმ კვიტებსა ბაბილონში დაჭარბებული ცხენების ხმა ესმით და ბასუსს ამდეგენ.

ეზოშმა მოსაფიქრებლად ერთი დღე ითხოვა. მეორე დღეს დაიწერა ერთი კიტე, მისცა ბაბილონიდგან მოყვანილ ბაშვებს და უბრძანა ტეტა. ეგენ ვიტელები მაშინ კიტის თავებსა სტენდნენ.

დაინახა ხალხმა თავის ღერთის შეგინება და მეფესთან უჩივდა ეზოზს. დაიარა მეფემ ეზოში და ძალიან გაურისხდა.

— გასა არ იცი შენ, რომ ჩვენ თაყვანსა ვცემთ კიტეს? როგორ გაბედე მისი ტეტა და წვალებაჲ?

— მე კიტი დაბასაკენ დიდი დანაშაულისთვის: წუსელის მაგ კიტემ დაანგრია მთი დიდებულების, ბაბილონის მეფის მამიდი, რომელიც სწორედ შუა-ღამისას ყოფილ და ბატრონს დროს ატეობინებდა.

— სტრეთ!—შეჰკვეთა განრისხებულმა მეფემ: შესაძლებელი არ არის, რომ კიტეს ერთ ღამეში ასეთი მანძილი გაეკვლიოს და მამიდი დაეხსნა!

— ეს შესაძლებელი არ არის,—მიუგო ეზოშმა,—და ის კიი, რომ შენ კვიტებს ბაბილონში დაჭარბებული ცხენის ხმა ესმით?

არც ამით დაკმაყოფილდა მეფე, თავის თავი არ ალიარა დამრცხებულად. დიბარა ეზოცანების შეთხზვა-ასხესა და ხელოვნებულნი მეცნიერნი და მსწავლულნი, გაუმართა ამათ სადილი და ეზოშიც მიიწვია.

სადილზე მეცნიერებმა რამდენიმე ეამოცანა მისცეს ეზოზს: „მაღალ სვეტზე სდგას უზარ-მაზარი ტაძარი, რომელსაც გარს თორმეტი ქალაქი არტია; თითო ქალაქსა ექვს ოცდა ათი ბოძი, რომლებსაც განუწყვეტლივ ორი დედაკაცი უვლის გარშემო. ერთს თეთრი ტანისამოსი აცვია, მეორეს შავი“.

ჩვენში მაგისთანა ეამოცანებს ბაშვებს ამდენენ ხოლმე, — უთხრა სიცილით ეზოშმა: ეგ დიდი ტაძარი ქვეყნიერობაა, ძაღალი სვეტი—წელიწადი, თორმეტი ქალაქი – თორმეტი თვე, ოცდა ათი ბოძი – დღეები თვისა, რომელნიმ გარშემო დღე და ღამე განუწყვეტლივ დადგანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს დაბაზრა მეფემ მეცნიერნი და უთხრა:

— ნუ თუ ენდა მოგითმინოთ და ვეტყვნოთ ის შეურცხვნა, რომელიც კაცის არა მსგავსის არესებამ მოგვაყენა?!

ამაზედ ერთმა კარის კაცმა შემდეგი რჩევა მისცა მეფეს: „ეზოპმა გვითხრას ისეთი რამე, რაც ჯერ არავის გაეგონოსო“.

როდესაც ეზოპს უთხრეს ეს, ამან დასწერა თამასუქი, რომ ვითომ აღგებეტის მეფეს ბაბილონის მეფისა ორი ათასი თუმანი მართებოდეს და ენდა გადასახლნ: დაბეჭდა წერილი და მიჰრიგა მეფეს. კარის კაცებმა უთხრეს, რომ ჩვენ უკვე ვიცით წერილის შინაარსი. წაიკითხა მეფემ წერილი და შეჭეფერა:

— გაგონილა ასეთი უსინდისო სიტყვა! გაგიგონია ვისმე, რომ მეს ეს კაცი მმართებოდეს?!—მიუბრუნდა მეფე კარის-კაცებს.

— თუ არავის გაგონია, მაშასადამე, თქვენი მიტემული საკითხვი ახსნილია,—მიუგო ეზოპმა.

მეფემ გამარჯვებულად აღიარა ბაბილონის მეფე და დიდი სიჩუქრით გაისტუმრა ეზოპი

დიდი დიდებით მიიღო ბაბილონის მეფემ ეზოპი და სიტოტსლეშიეე დაუდგა მას ბაბილონში ძეკლი. ბევრი ანეკეწა, ეშულარა მეფე ეზოპს ბაბილონში დარჩენას, მაგრამ იმან მაინც არ დაიშალა საშშობლოში წასვლა იმ პირობით, რომ უკანეე დაბრუნებულიეო ბაბილონში და უკანასკნელი დღენი მეფის სასახლეში გაეტარებინა.

ეზოპმა თითქმის მთელი საბერძნეთი შემოიარა და ქალაქ დელფოში დაბინავდა. დიდი სიმდაბლეთი ისმენდა ხალხი იმის ოცვ-არაკებს, თუმცა დაცინვასაც კი არ აკლებდა კეშაარს ეზოპს. დაცინვა და დაძრახვა კვლარ აიტანა ეზოპმა და ხალხი შეადარა წყალში ჩაგდებულ ჯოხს, რომელიც შორიდგან უზარმაზარი გგვონია, ახლო კი ეამსარი ჯოხი შეგვრჩება ხელშია. ეს შედარება მეორად დაუსვეს დელფიელებმა ეზოპს.

დელფიელებს ეშინოდათ, რომ ეზოპს თვალ ქვეყანაში არ შეერცხვინა ესენი, თავი არ მოეკლა, და გადასწყვიტეს იმისი მოკვლა. ამ საქმეში ძალიან აქებდნენ ხალხს ქურეშნი, რომელებსაც მოსვენებას არ აძლევდა ეზოპი და ბარში ცრუსა და ბატეეარებს უმასხარა. ეზოპის დასაღუბავად შემდეგი სერი ისმარეს ქურეშებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთსელ, როდესაც ეზოპი ტაძარში სალოცავად შევიდა, ქურუმებმა იმის ნიშნებში შეაპარეს კერტლდის თასი, რომელსაც მსხვერპლის შეწირვის დროსა სმაროდნენ. გამოვიდა თუ არა ეზოპი დედოფლის ქალაქიდან, დაეწია მდევარი და მოსთხოვა მოპარული თასი. ბევრი იუარა, ბევრი ითხოვა სასწაულმა ეზოპმა, რომ ნასვეთიც არ მინასვამ თასია, მაგრამ მდევარი მაინც არ მოეშვა, გაჩხრიკა იმისი ბარგი და თასი უპოვა. ენა ჩუაარდა ეზოპს, პასუხის მიცემა ვეღარ მოასწრო. შეაბორკილეს ეზოპი, როგორც ქურდი და დაუპატიმრეს. ბევრი ადარ ადოდინეს ეზოპს და გამოუტანდეს სალის გარდაწყვეტილება, რომ იგი კლდიდგან უნდა გადაეგდონ. ტუალდადა იცავდა ეზოპი თავს იგავებით: იმის იგავებს ხალხი ყურს არ უგდებდა და დასტინოდა.

— მიწის ბაკეშმა,—სთქვა ეზოპმა იგავი,—მიიწვია ვირ-თაგვა. ვირთაგვამ ბაკეშს წყალში ეკუანა სთხოვა. მოიბა ბაკეშმა ვირთაგვა უკანა ფეხზე და შეეურდა წყალში; მეორედ შეა წყალში და დაუწყო ძირს წევა, რომ ჩაეთრია და დაეხჩო. უბედური თაგვი გამწარებული იბრძოდა. დაინახა ეს არწივმა, დაეშო მაღლიდგან და ორივე საუზმეთ წაიღო.

„უბედურნო დედოფალნო! იცოდეთ, რომ ჩემ სიკვდილს ღმერთები თქვენ არ შეგარჩენენ; მე კიდეეპები, მაგრამ თქვენც ეს დღე მოგელით!

როდესაც ციხიდგან დასასჯელად მიჰყვანდათ, ეზოპი სელიდგან გაუსხლტა და აპოდონის [1]) ნიშში შეკარდა; მაგრამ დედოფალნი არ მოერიდნენ მეგელ წესსა, იქიდგანაც გამოიყვანეს [2]) და მოკლეს.

ასე გასტარა თავისი დღენი საბერძნეთის უდიდესმა იგავ-არაკების მწერალმა ეზოპმა, რომელიც სცხოვრებდა ხუთასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის.

ერეკლე ბაქრაძე

---

[1]) აპოლონი იყო ძველის დროის ბერძნების ღმერთი.—[2]) ძველის დროის საბერძნეთში შემდეგი ჩვეულება იყო: თუ დამნაშავე გაიქცეოდა და ოთხს ტაძარში შეეფარებოდა, სასჯელს გადარჩენილი იყო, ხელს ვეღარაგინ ახლებდა, მანამ იქ იმყოფებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაჯი-მურადას გაკვეთილი

ვნახოთ, ბატონო ჭაჯი-მურად, გაკვეთილი როგორ დაგისწავლია?

— ჭამ, ჭამ! —ბასუხად შეჭეეფა ჭაჯი-მურადამ.

— ჯერ სწორედ დაჯექ, ისე, როგორც ეკადრება მორ-ჩილ მოწაფეს თავის მასწავლებლის წინ.

ჭაჯი-მურადა ვერას გაიგებდა, ნიკა რომ არ მიჭშელებო-და და არ ესწავლებინა, როგორ უნდა გამოიჯიმოს მორჩილი მოწ-ფე მასწავლებლის წინ.

— აბა სთქვი: დამშე-ული კუდა-მელა... ჭკი-თსავს ნიცა.

— დამშეული კუდა-მელა... ვითომ იმეო-რებს ჭაჯი-მურადა, და ხმა-ეი ნიკას ხმასა ჭვავს.

— მერე? —ჭკითსავს ნიცა.

— ვენახში მიიპარე-ბა...

— მერე?

— მიცუნცულებს ნელა-ნელა...

— აგრე, აგრე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და ეველის სუნი რომ მიუვა...

— ეგ როგორ მიპასუხებ, ბატონო ჭაჯი-მურად, - უკაცრ-დება ნიცა,—აგრე გცოდნია გაკვეთილი?

— ჭამ, ჭამ! —ეხლა-კი ნამდვილად ჭაჯი-მურადა იეეფეე-ბა. ამას არ ესმის, პატარა ქალბატონი რასედ ჯაგრობს.

ნიცა ხელმეორედ ჭკითხავს:

— ეურმენი... მერე?

— ეურმენი რომ მაღლა ნახა, კინაღამ სული დალია,— განაგრძო ჭაჯი-მურადამ.

— ბოლო სულაც აგრე არ არის, ეგ ხომ ეკავისა და მელიას იკავია,—ამბობს წეროძით ნიცა.

— რა უშავს, ეურმენსაც უხდება ისე, როგორც ეველს, იქაც ხომ მელიაზეა — «კინაღამ სული დალია», — ამბობს ნიკა,— ლექსადაც კარგად გამოდის!

— მართლა, ლექსად კარგად გამოდის,—შესძახა აღტა-ცებით ნიცამ,—ჭაჯი-მურადამ იკავი კარგად არ მითხრა, მაგრამ სიტეკვების გალექსვა-კი სცოდნია. ეგ უფრო უკე-თესი. ამიტომაც ერთის მაგიერ ღღეს ორი შაქრის ბუ-რი ერგება.

ჭაჯი-მურადამ, რასაკვირველია, ვერ გაიგო, მეტი შაქ-რის ბური რისთვის მისცეს, და დიდი სიხარულით-კი გა-დაულაბა.

ა. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარმა მწყემსი როგორ გადაარჩინა

ერთხელ მწყემსს სოფლის საქონელი ჰყავდა საძოვრად ტყეში. ტყიდამ რომ წამოვიდა, აკი დათვი დაუხვდა გზაზედ.

მწყემსს კომბლის მეტი არა ჰქონდა-რა და დათვმა უიარაღო კაცი ქვეშ ამოიდო.

აქეე ახლოს ხარი სძოვდა. დაინახა თავისი მწყემსი ამისთანა განსაცდელში და დათვს დაეტაკა რქებით.

დათვმა მწყემსს თავი დანება და უფრო ძლიერ მტერს შეება, მაგრამ ვერა დაკლო-რა. ხარი რქებს ისე მაგრად სცემდა, რომ დათვმა ძლივსღა თავი ცოცხალი გადაარჩინა.

რკინის გზის დარაჯი

ამბობენ, ინგლისში ერთს რკინის გზის ყარაულს პატარა ბანჯღვლიანი ძაღლი ჰყავსო, დიდად გონიერი და გამჭრიახი.

იმ რკინის გზის მოხელენი ყველანი იცნობენ თურმე ამ ძაღლს და მუდამ გაკვირვებით და სიამოვნებით უყურებენ, როდესაც პირში ბაირაღი უჭირავს და გამოდის გზის პირას თავის ბატონის მაგივრად.

ეს ძაღლი თურმე ყოველთვის დიდი სიფრთხილით ყურს აღევნებს რკინის გზის ლიანდაგს. მეტადრე გულმოდგინედ ათვალიერებს ხოლმე ღამ-ღამეობით გვირაბს. თუ რაიმე ხმაურობა შემოესმა, შედის გვირაბში, დაჰხედავს გზას და, თუ ვინიცობაა კლდის ნამტვრევებს ნახავს ლიანდაგზედ, მაშინვე გაიქცევა რკინის გზის მოსამსახურეებთან, გააღვიძებს და მოიყვანს ამ ალაგის სანახავად.

ყველა მოხელე ამ გზისა დარწმუნებული არის, რომ ეს ძაღლი უმიზეზოდ იმათ არ შეაწუხებს და, ვის კალთასაც კბილს მოჰკიდებს, დაუყოვნებლივ წაჰყვებიან ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. ვისაც სახლი არ აუკია, ასე ჰგონია, ბოძები თავის-თავად ამოსულაო.
2. ერთი წიხლის კვრით ციხე ვერ დაიშლება.
3. დიდ-მარხვას უთქვამს: ისე მალე გაივრცენ, რომ ქერიმა პერანგი ვერ გამოიცვალოსო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ეპ. წულაძის შეკრებილი)

შაი ვარ, შაშესა არ ეგვეარ, ენა მიმიგაეს იკლიკსა,
თქვენ ამას ვერ გამოიცნობთ, ტყეილად დაიწყეთ ლიკლიკსა.

ზამთარ ეხვები, ზაუხულ გამოეპაუკდები,
ტოტს გადაღმა გადაეკიდები, უეცრად წამოედუდები.

ზეიდგან მოეიდოდა უფრთო, უკუდო, უყურო,
რაფერ ვეცე... არ ვეცე—რაფერ ვუყურო.

ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

(ჩაწერილი ვ. ბიბილაშვილისა)

ზოგი კაცის პურ-მარილი
ზღვაზე ხიდად გაიდება.
ეგ შენი კი კაცობა,
საცა წახვალ, თან წაგყვება.

ეაიმე, დედის ამაგსა
ვეღარ გადეიხდი, რა ეუყო?...
დავეშხო დედა-მიწასა,
ქვეშკნეთ ჭიასაც ხმა ეუყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუმარო

ზღვაში გუთანს ავაბრუნებ,
მინდერად ვინადირებ თევზსა,
მეძებრებსა თივას ვაჭმევ,
აქლემს მიუტევებ მწყერსა.

ზმა

(დუტუ მეგრელის გამოგზავნილი)

ახალი ჩალა დამიგეს, გვერდი სწუხს მაზედ წოლასა;
ყმაწვილები აიმალნენ, არ ეწყობიან თრობასა;
დაბალი შინა-ყმა მახლდა, აღარ მიპირობს ხლებასა:
და საბა ნიკოლოზს სწყალობდეს, ირაკლი თქვენს მეფობასა.

ბარკალმა ხიდზე მიმტყუნა, მაღლა ვიძახი შველასა.

ვისადილე, სუ კიეილით წამოვდეკი.

მამა წონით ჰყიდდა.

სამათემატიკო გამოცანა

აიღეთ შემდეგი რიცხვები: 1,2,3,4,5,6,7,8,9. ეს რიცხვები თითო-თითოდ ჩასვით ამ ჯვარად გამოსახულ ხუთ უჯრაში. შემდეგ, ამ ოთხ წერტილის მაგივრადაც დასვით თითო-თითო რიცხვი ისე, რომ უჯრების რიცხვების ჯამი საკძეზედაც იგივე იყოს, რაც სიგანეზეა და გარდიგარდმო, აგრეთვე ოთხივე წერტილის რიცხვების ჯამიც იგივე გამოვიდეს. მხოლოდ თითოჯერ კი უნდა იხმაროთ ზემოდ ნაჩვენი რიცხვები.

გამოცანა-ხუმრობა

ხუთი კაკი შევიდა სასტუმროში და ხუთი თოხლო კვერცხი მოითხოვეს. სასტუმროს უფროსმა თეფშით ხუთი კვერცხი მიართვა და სიცილით უთხრა,—მოდით ასეთი სანაძლეო დავდოთ: კვერცხი ისე აიღეთ სათითოოდ, რომ ერთი კვერცხი დაგრჩეთ თეფშზედ. სასტუმრო უფროსმა სანაძლეო წააგო. გამოიცანით, როგორ მოხდა ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(მღვიმელის შედგენილი)

პირველი სიპ ქვას შეადგენს,
წყლის ნაპირებზე წყობილებს;
მით ხშირად უკაკლავნიათ
ჩემს პაწაწინა ძმობილებს.

მეორეს ელესაეთ ქვაბებზე,
როცა არა გვაქვს მელანი;
ძველს დროში ბეჭზედ საწერად
ამას ხმარობდნენ ყველანი.

მთელი კი მოდის ჩალებში,
ეაკაპწიაებთ დანითა;—
ხან საამრად რაკრაკებს,
ხან ჰკენესს ხმით სეედიანითა.

რ ე ბ უ ს ი - გ ა მ ო ც ა ნ ა

ს ’ ოს

№ გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს ა ხ ს ნ ა

1) ზარი. 2) ფუტკარი. 3) სიმინდი. 4) სასწორი. 5) ასკილი.

სამათემატიკო გამოცანა: თაგვი იყო 81, წრუწუნა—729.

შარადა: ბუდეშური.

რებუსი: სურამი და აწყური შესანიშნაია ციხეებითა.

რებუსი, შარადა და გამოცანები ახსნა ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფემ აკაკი მიქაბაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიჩქარით.

ქეხანა

ბანი












არ და—უ—კარ— დე—ბით, ფიქ—რის, საქ—მის, ფრო—�ულ
დრო—სა ბრძენ—საც არ და—უ—კარ დე—ბით.

ბაბალუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ИВЕРІА“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის,

მიგმართოს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ეარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის ქარავასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакціи газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარ წლით—6 მანათი.

Въ началѣ Марта поступитъ въ продажу въ Тифлисѣ—въ книж. магаз. Общества Грамотности, въ Батумѣ—у М. Николадзе и на станціяхъ закавк. желѣзной дороги

НОВАЯ КНИГА

КАХЕТІЯ

Съ карт. цѣна 30 коп.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1891 წ. იანვრის თვიდგან
ქ. ტფილისში
გამოდის, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი
ჟურნალი

ჯეჯილი

წელიწადში გამოდა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოერების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საეარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, ანეგდოტები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღკვეთქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 48).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის საადგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ნ. თუმანიშვილისა